# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

17 ივლისი **სამშაბათი** 2012 №167 (13 773) ფასი 80 თეთრი

# ჩემპიონი

## ამბიციებით და იმედებით იწყებს





*გიორგი ჭიაბრიშვილი*

**აქ წასაგებად არ ჩამოვსულვართ**

17.07. ბაქო. დალღა არენა. 20:00

ნეფთჩი (აზერბაიჯანი) VS ზესტაფონი (საქართველო)

**LIVE**

პირველ არხზე

2

*რონ კვასხვაძე:*

**ჩვენი მიზანი ლიგის ჯგუფში მოხვედრაა**

## მასპინძლები ჩვენგან პროვოკაციებს ელიან

# ჯვაროსნები ავსტრიისკენ დაიძრნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა





...მეორე ამერიკელით და იტალიელი მწვრთნელით

*კალათბურთი. საქართველოს ნაკრები*

12

## გრან-პრი ქართველ მხედარს

10



**ლონდონში ოლიმპიადის დაწყებამდე დარჩა 10 დღე**

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

ჩემპიონთა ლიგა. II საკვალიფიკაციო ეტაპის წინ. პრესკონფერენცია


გიორგი ჭიაბრიშვილი

# გიორგი ჭიაბრიშვილი: ბაქოში წასაგებად არ ჩამოვსულვართ

17.07. ბაქო. დალღა არენა. 20:00

ნეფთჩი (აზერბაიჯანი) VS ზესტაფონი (საქართველო)

# თარლან ახმედოვი: ქართველებს პროვოკაციაზე წასვლა შეუძლიათ

**დღეს "ზესტაფონს" ძნელი მატჩი ელის – ბაქოს "ნეფთჩი" მაძლარ კლუბს ჰგავს და შესაბამისად, რიგიანი გუნდიც ეყოლება. შეხვედრის პირდაპირი ტრანსლაცია საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე იქნება – თქმა რად უნდა, ყველანი დიდად საინტერესო მატჩის მოლოდინში ვართ.**

"ზესტაფონი" გუშინ ჩარტერული რეისით ჩაფრინდა აზრბაიჯანის დედაქალაქში. იქაური წყარო იუწყება - ქართველებმა უკმაყოფილება ჟურნალისტებთანაც გამოხატეს აეროპორტში ბარგის დაგვიანებით მიწოდების გამოო.

"ნეფთჩის" ერთ-ერთი მწვრთნელი **თარლან ახმედოვი** მატჩისწინა პრესკონფერენციაზე სიტყვაძუნწი როდი გამოდგა.

*"ორ ეტაპად მოვემზადეთ, პროგრესი სახეზია, ყველაფერმა კარგად ჩაიარა, ორი ტრავმირებული გვყავს – როდრიპინიო და ბახადირ ნასიმოვი. "ზესტაფონის" თამაში ვნახეთ და მოწინაალმდეგეზე ცოტა რამ როდი ვიცით, თუმცა ზესტაფონელთა ძლიერ და სუსტ მხარეებზე ახლა არ ვისაუბრებ. კარგად მესმის, რომ თუ "ზესტაფონის" ბარიერს ვერ გადავლახავთ, მკაცრად გაგვაკრიტიკებენ. ასე რომ, პასუხისმგებლობას კარგად ვაცნობიერებთ. შინ ვთამაშობთ და ისეთ შედეგს უნდა მივაღწიოთ, რომ საპასუხო მატჩისთვის მეტოქეს უკვე არაფრის იმედი აღარ უნდა ჰქონდეს. მთავარია, გოლი არ უნდა გავუშვათ. ვიცით, რომ ქართველებს პროვოკაციაზე წასვლა შეუძლიათ, მაგრამ ჩვენ ცივსისხლიანები უნდა ვიყოთ და ყველაფრისთვის მზად უნდა ალმოვჩნდეთ. ის ფეხბურთელები, რომლებიც ამ სეზონის წინ დავიმატეთ, იმათზე უფრო ძლიერები არიან, გუნდი რომ დატოვეს. ხვალ მოედანზე თქვენ სულ სხვა გუნდს ნახავთ"* – უთქვამს თარლან ახმედოვს.

ჟურნალისტების წინაშე "ზესტაფონის" დამრიგებელი **გიორგი ჭიაბრიშვილიც** წარსდგა.

*"კარგად მოვემზადეთ, "ნეფთჩისთან" სათამაშოდ მზად ვართ და სულმოუთქმელად ველით მოწინააღმდეგესთან თამაშს. "ნეფთჩის" ლეგიონერებიც კარგი ჰყავს და ადგილობრივი მოთამაშეებიც. ბაქოელებთან საკმაოდ ძნელი მატჩი გველის. მეოთხე წელია, რაც თითქმის ერთი და იგივე შემადგენლობით ვთამაშობთ, "ნეფთი" კი ასეთი არ არის, სეზონის წინ არცთუ ცოტა ახალი ფეხბურთელი დაიმატა. იმედი გვაქვს, რომ ამ ეტაპს გავივლით. პირველი მატჩის ანგარიშს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. "ნეფთჩის" გაუჭირდება ყველაფრის პირველ შეხვედრაში გადაწყვეტა. ბაქოში წასაგებად არ ჩამოვსულვართ, შანსებს 50/50-ზე ვაფასებ. ასეა თუ ისე, "ნეფთჩი" შემტევ ფეხბურთს ქადაგებს. თუ "ნეფთჩისთან" წავაგებთ, ეს კატასტროფა არ იქნება, ბაქოელებს საკმაოდ ძლიერი გუნდი ჰყავთ, თუმცა ჩვენი მთავარი ამოცანა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში მოხვედრაა. ჩვენ ბევრი შრომა გავწიეთ და ბევრი ფულიც დავხარჯეთ, რომ ჩემპიონთა ლიგაზე მოვხდეთ – ეს ქართულ ფეხბურთს სჭირდება. "ნეფთჩიდან" არავისი არ გვეშინია, თუმცა ვიტყოდი, რომ საკვანძო მნიშვნელობის ფეხბურთელები არიან ჯულიუს ვობაი და ფლავინიო, ერთ-ერთი საუკეთესოა ჯავიდ იმამვერდიევი. რაც შეეხება მოედანს, არ გვიყვარს ხელოვნურ საფარზე თამაში, ჩვენთვის ეს ცუდი ფაქტორია".*

ბარემ იმასაც გეტყვით, რომ ფლავინიო ბრაზილიელი თავდამსხმელია, "ნეფთჩიში" ორი წლის წინ მივიდა "გრემიოდან", წინა სეზონში ათი გოლი გაიტანა აზერბაიჯანის ჩემპიონატში. ჯულიუს ვონაი სიერალეონელი გახლავთ, მოხეტიალე ფეხბურთელია, ლენქორანის "ხაზარშიც" უთამაშია, წინა სეზონში კი ეგვიპტურ "ალ მასრიში" გახლდათ. რაც შეეხება **ჯავიდ იმამვერდიევს**, აზერბაიჯანის ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველია და მასზე დიდ იმედებს ამყარებენ.

დანარჩენი კი დღეს გამოჩნდება...

**დავით თავართქილაძე**

# როინ კვასხვაძე: ჩვენი მიზანი ლიგის ჯგუფში მოხვედრაა

**თამამად შეიძლება ითქვას, რომ საფეხბურთო კლუბ "ზესტაფონს" საიმედო კიპერი ჰყავს. 23 წლის როინ კვასხვაძე უკვე წლებია, სტაბილურად იცავს იმერელთა კარს და წლებთან ერთად უფრო დამაჯერებელი ხდება. მას მოახლოებული ევროპის ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის წინ ვესაუბრეთ**


როინ კვასხვაძე

**- კენჭისყრის შემდეგ, ბაქოს "ნეფთჩის" მწვრთნელი აცხადებდა, რომ მის გუნდს გაუმართლა, "ზესტაფონისნაირი" სუსტი მეტოქე რომ შეხვდათ, თქვენ რას იტყვით მეტოქეზე და მსგავსი განცხადებების გამო არ ფიქრობთ მოწინააღმდეგის დასჯაზე?**

- შანსებს 50/50-ზე შევაფასებ. რაც შეეხება მათ განცხადებებს, ჩვენზე ეს დადებითად მოქმედებს და ორმაგად მოტივირებულები გავალთ მოედანზე.

**- ბაქოში ხელოვნურ საფარზე მოგიწევთ თამაში, ეს ხომ არ გაართულებს "ზესტაფონის" ამოცანას?**

- ზესტაფონში მინდორზე გვიწევს თამაში და ვარჯიში, ავსტრიულ შეკრებაზეც მინდორზე ვვარჯიშობდით და ვთამაშობდით, ამიტომ ადვილი არ იქნება ბაქოში თამაში, შეჩვეულები არ ვართ, მაგრამ გავალთ და ვიბრძოლებთ.

**- სატრანსფერო ბაზარზე "ზესტაფონს" არ უაქტიურია, იმ შემადგენლობას, რაც ახლა გუნდშია, რამდენად შეუძლია წარმატების მიღწევა?**

- მწვრთნელის და ხელმძღვანელობის გადასაწყვეტია ტრანსფერების საკითხი. ვინც ვართ ახლა გუნდში, ყველა შეთამაშებულია, ვიცით, რასაც ვაკეთებთ და შეგვიძლია წარმატების მიღწევაც.

**- ავსტრიულ შეკრებაზე "სტიაუასთან" მატჩის დროს კომენტატორმა აღნიშნა, "ზესტაფონს" სუპერმეკარე ჰყავსო. ბოლო დროს მეტოქე ფეხბურთელებს უთამამდები და ორთაბრძოლაში ხშირად შედიხარ - თავდაჯერებული ხარ და იცი, რასაც აკეთებ?**

- თავდაჯერება მეკარისთვის პირველი და აუცილებელი თვისებაა, რა თქმა უნდა, ასეთი მომენტები რისკთან ყოველთვისაა დაკავშირებული, ვეცდები, ხშირად აღარ გავრისკო.

**- გუნდის პროგრამა მაქსიმუმი და მინიმუმი ევროსარბიელზე რა არის?**

- ჩვენი მაქსიმუმი, ლიგის ჯგუფში შესვლაა, მინიმუმ კი ორი ეტაპი უნდა გავიაროთ და უეფას ჯგუფში მაინც მოვხვდეთ.

**მაგდა კლდიაშვილი**

მეტალურგი

# რუსთაველებს ახალწვეულები განაცხადში ჰყავთ

ზეგ რუსთავის "მეტალურგს" ევროპა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩი ელის ჩეხეთის "პლზენთან". რუსთაველები საგურამოს ბაზაზე ვარჯიშობენ, თამაშის წინა დღეს კი "მიხეილ მესხზე" გავლენ სავარჯიშოდ. ჩეხებიც მატჩის წინა დღეს ჩამოვლენ თბილისში.

პირველ ეტაპზე "მეტალურგმა" ალბანურ "ტეუტას" ორი მატჩის ჯამში 9:1 მოუგო და სულ სხვა დონის მოწინააღმდეგესთან მოუწევს პაექრობა. შეგახსენებთ, რომ "ტეუტასთან" მატჩების შემდეგ ცენტრალური მცველი **გია კვარაცხელია** და შემტევი **გიორგი თექთურმანიძე** "დინამო თბილისს" დაუბრუნდნენ, ისინი რუსთავულ კლუბში იჯარით იყვნენ.

"მეტალურგმა" ორი ფეხბურთელი დაიმატა – მცველი **ლექსო ინწკირველი** და თავდამსხმელი **დავით ჯანელიძე** –ისინი "ტეუტასთან" მატჩებისთვის განაცხადში არ იყვნენ, ახლა კი უკვე შეყვანილები არიან "მეტალურგის" საევროპო განაცხადში და შესაბამისად, "პლზენთან" თამაშიც შეუძლიათ.

ბოლო საკონტროლო მატჩი "პლზენმა" რამდენიმე დღის წინ გამართა ავსტრიულ შეკრებაზე მოსკოვის "სპარტაკთან" და 1:2 წააგო. სპარტაკელმა **ჯანო ანანიძემ** იმ შეხვედრაში საგოლე გადაცემა შეასრულა. ჩეხებიდან გოლი 37 წლის ნახევარმცველმა **პაველ ხორვატმა** გაიტანა, "პლზენს" "სპარტაკთან" ფრე შეეძლო, მაგრამ სლოვაკმა თავდამსხმელმა **მარეკ ბაკოშმა** მატჩის მიწურულს 11-მეტრიანი ვერ გამოიყენა.

**დავით თავართქილაძე**


სპარტაკი-პლეზნი 2:1. ჩეხები მეტალურგამდე ჯანო ანანიძის (ბურთით) გუნდს ეთამაშნენ

U-19


კახა კაჭარავა

# კაჭარავამ შეკრება დაიწყო

რამდენიმე სასელექციო შეკრების შემდეგ, საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების (1994-95 წელს დაბადებულები) მთავარმა მწვრთნელმა **კახა კაჭარავამ** გუნდის პირველი მოსამზადებელი ეტაპი დაიწყო.

ნაკრები სასტუმრო „ვარაზში" დაბინავდა და საგურამოში "ლოკომოტივის" ბაზაზე ვარჯიშობს. 20-25 ივლისს მინსკის დაგეგმილი საერთაშორისო ტურნირი კაჭარავას გუნდის პირველი გამოცდა იქნება. ქართველი 19-წლამდელები ბელარუსისა და ისრაელის ნაკრებებს გაეჯიბრებიან.

ამჟამად შეკრებაზე 22 ფეხბურთელია, თუმცა, არაა გამორიცხული, მთავარმა მწვრთნელმა სამი მოთამაშე კიდევ დაიმატოს. მინსკში კი მხოლოდ 18 ფეხბურთელს წაიყვანს.

ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით შეკრებაზე იმყოფებიან: **ალექსანდრე ადამია („ოლიმპი",თბილისი), შალვა ექვთიმიშვილი, დაჩი ცნობილაძე („მეტალურგი", რუსთავი), ნიკა დიასამიძე, რომან ტაკიძე („დინამო" ბათუმი), დავით მთივლიშვილი („ლოკომოტივი", თბილისი), ოთარ კაკაბაძე, ნიკა სანდოხაძე, ვაჟა მათიაშვილი, გიგა სამხარაძე („დინამო" თბილისი), ბაჩო არაბული („საბურთალო", თბილისი), ლევან გეგეჭკორი, პაპუნა ფონიავა („მერანი", მარტვილი), ავთო ენდელაძე, ნიკოლოზ ახვლედიანი („ბაია", ზუგდიდი), თემურ მარკოზაშვილი („ტორპედო", ქუთაისი), გოგი გოგიჩაიშვილი („ჩხერიმელა", ხარაგაული), ნიკა ნარმანია, გიორგი გადრანი („გაგრა"), ნიკა კაჭარავა („ვანდიში", შვეიცარია), დავით უბილავა („ვიტ ჯორჯია", თბილისი), გია ჩადუნელი („კოლხეთი", ფოთი).**

ჩვენი ყურადღება მიიქცია იმ ფაქტმა, რომ თბილისის "დინამო 2"-ის 18 წლის ტანმაღალი თავდამსხმელის (194 სმ), **ნიკა კაჭარავას** გრაფაში შვეიცარიული კლუბი "ვანდიში" ეწერა. ნიკა კახა კაჭარავას ვაჟია და კომენტარი ვთხოვეთ.

*"ნიკა რამდენიმე თვეა შვეიცარიაში იმყოფებოდა. თავიდან ჩელენჯლიგის კლუბ "კიასოში" ვარჯიშობდა. მაგრამ სათამაშო პრაქტიკის მისაღებად სამოყვარულო "ვანდიში" გაანათხოვრეს. ეგაა, სამოყვარულო გუნდის უცხოელ მოთამაშეს 3 თვეზე მეტხანს გაჩერების უფლება არ აქვთ და ახლა იძულებული გახდა, ჩამოსულიყო. ალბათ, შვეიცარიაში ზაფხულის ბოლოს ან შემოდგომის დასაწყისში გაბრუნდება. მანამდე კი რომელიმე ქართულ კლუბში ითამაშებს"* – გვითხრა კახა კაჭარავამ.

საგურამოში ბაზაზე 19-წლამდელებმა ბოლო თვეში მეოთხე საკონტროლო შეხვედრა "გაგრასთან" 15 ივლისს გამართეს და 0:2 დამარცხდნენ. 34-ე წუთზე **ტეიდის** გადაცემის შემდეგ, **ირაკლი ხუციძემ** წინ გამოსულ მეკარეს ადვილად აჯობა და ანგარიში გახსნა. მეორე ტაიმში კი შეცვლაზე შესულმა გაგრელმა **ზაზა ნადირაძემ** დაახლოებით 26 მეტრიდან ჩინებულად შეასრულა საჯარიმო და ნაკრების კარი მეორედ აიღო – 0:2.

**მერაბ მამულაშვილი**

დინამო

# იქნება დღეს აუდიენცია?

## გრიშიკაშვილი ფიფიას უნდა შეხვდეს და მანამდე ინტერვიუზე უარს ამბობს



სოსო გრიშიკაშვილი



რომან ფიფია

**სოსო გრიშიკაშვილსა** და "დინამო თბილისს" შორის დაწყებული დავა თუ არ გახსოვთ, შეგახსენებთ: გრიშიკაშვილმა წინა სეზონში ორი ოპერაცია გაიკეთა საზღვარგარეთ და კლუბმა ხარჯები არ აუნაზღაურა. "დინამომ" ოფიციალური განცხადება გააკეთა, სადაც წერია, რომ *"სოსო გრიშიკაშვილის ოპერაცია, რომელიც მან ჩაიტარა საზღვარგარეთ, არ ყოფილა შეთანხმებული კლუბის ხელმძღვანელობასთან და არც კლუბის ექიმის მხრიდან გაკეთებულა ოფიციალური მომართვა აღნიშნულის შესახებ. შესაბამისად კლუბს ოპერაციასთან დაკავშირებით არანაირი ნებართვა არ გაუცია"*. იმავე განცხადებაში, კლუბი ამბობს, რომ *"თუ მოთამაშე თავისი შეხედულებისამებრ მოინდომებს მკურნალობას, დამსაქმებელი თავისუფლდება ხარჯებისაგან"*.

მოკლედ, კლუბი აცახდებს, რომ გრიშიკაშვილის ბრალდებები უსაფუძვლოა, მაგრამ "დინამოს" აწ უკვე ყოფილი ფეხბურთელი ბრძოლას აგრძელებს და ყოველივე ამასთან დაკავშირებით ფეხბურთის ფედერაციასაც მიმართა.

რა გაგრძელება მოჰყვა ამ ყველაფერს? ამის გასარკვევად ფეხბურთის ფედერაციაში ფეხბურთელის სტატუსის კომიტეტის წევრ **რევაზ შენგელიას** მივმართეთ. მან გვითხრა, რომ ეს დავა ამ კომიტეტმა უნდა განიხილოს, თუმცა საჭიროების შემთხვევაში, არ არის გამორიცხული, რომ საქმე არბიტრაჟს გადაეცეს განსახილველად. შენგელიამ ისიც გვითხრა, რომ გრიშიკაშვილისგან კონკრეტულ მასალებს ელიან, სახელდობრ იმ დოკუმენტს, რომლის მიხედვითაც გრიშიკაშვილს მისცეს ვიზა ლატვიის საელჩოში. გრიშიკაშვილს ფეხბურთელის სტატუსის კომიტეტის წევრებისთვის უთქვამს, ამ დოკუმენტში წერია, რომ "დინამო თბილისმა" ოფიციალურად მიმართა ლატვიის საელჩოს, თუ რა მიზნით აპირებდა გრიშიკაშვილი ლატვიაში წასვლას და რომ ამ ყველაფრის ხარჯებს კლუბი გაიღებდა.

ცხადია, თვითონ გრიშიკაშვილსაც დავუკავშირდით, თუმცა სოსომ გვითხრა, ამ ეტაპზე ინტერვიუსგან, ან რაიმე მცირე კომენტარისგან თავს ვიკავებ, 17 ივლისს "დინამოს" პრეზიდენტ **რომან ფიფიასთან** ვაპირებ შეხვედრასო.

კონფიდენციალურმა წყარომ გვითხრა, "დინამომ" ლატვიის საკონსულოს გრიშიკაშვილის თაობაზე ორჯერ მიამრთა წერილობით, ერთხელ 2011 წლის ნოემბერში, მერე კი 2012 წლის თებერვალშიო. პირველი დოკუმენტის მოძიება გაძნელდება, მეორე წერილს კი გრიშიკაშვილი დღედღეზე ელის ლატვიის საკონსულოდანო. სავარაუდოდ, ამ დოკუმენტებზე ხელი "დინამოს" ყოფილ დირექტორს, **ზურაბ პოლოლიკაშვილს** აქვს მოწერილი.

მოკლედ, დღეს შესაძლოა, რომ გრიშიკაშვილმა ფიფიასთან აუდიენციაზე თანხმობა მიიღოს. საქმის გართულება, სკანდალის უფრო გაღვივება წესითა და რიგით, "დინამოს" ხელს არ უნდა აძლევდეს.

გრიშიკაშვილისთვის ახლა ის არის მთავარი, რომ ლატვიელებისგან ზემოთ ნახსენები დოკუმენტები მოიპოვოს, თუ ისინი მართლა არსებობენ.

როგორც გრიშიკაშვილმა ადრე გვითხრა, ის "დინამოსგან" ოპერაციის ხარჯების მხოლოდ ნაწილის დაფარვას მოითხოვდა, მაგრამ ამას მოჰყვა "დინამოს" ოფიციალური განცხადება და ჯერ უცნობია, გრიშიკაშვილი ისევ ნაწილობრივ მოითხოვს ოპერაციის ხარჯების დაფარვას თუ - სრულად.

ეს ისეთი კონფლიქტია, რომლის ანალოგი ქართულ ფეხბურთში მანამდე არ მომხდარა. ვინ დარჩება გამარჯვებული? ამაზე საუბარი ჯერ ნაადრევია, რადგან გრიშიკაშვილს ფეხბურთის ფედერაციაში ჯერ არ წარუდგენია დოკუმენტაციის სრული ნუსხა. ისე, არც ის უნდა გაგვიკვირდეს, თუ ფიფია და გრიშიკაშვილი შეთანხმებიან და კონფლიქტიც ამით დასრულდება – საქმე ხომ რამდენიმე ათას ევროს ეხება...

**დავით თავართქილაძე**



ვლადიმერ ვოსკობოინიკოვი

# დინამო ესტონელს გასინჯავს

გუშინ "დინამო თბილისმა" სლოვენიური შეკრება დაიწყო და ორჯერადი ვარჯიშიც ჰქონდა. გუნდთანაა **უფროსი დუშან უგრინიც**. "დინამო" სლოვენიაში 24 მოთამაშით გაემგზავრა, თუმცა იქ კიდევ ერთი ფეხბურთელი შეუერთდა – 29 წლის ესტონელი თავდამსხმელი **ვლადიმერ ვოსკობოინიკოვი**.

ვოსკობოინიკოვი ესტონეთის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელია, "დინამომდე" რუსულ "ხიმკიში" იყო, უთამაშია მოსკოვის "ტორპედოში", ვლადივასტოკის "ლუჩ –ენერგიაში", ბაქოს "ნეფთჩიში"...მოკლედ, საკმაოდ გამოცდილი ფორვარდია, ნაკრებში 31 კეპი მოუხვეჭია და 4 გოლი გაუტანია.

"დინამო" ამ შეკრებაზე ხუთ საკონტროლო მატჩს გამართავს. 18 ივლისს სერბულ "ბორჩასთან", 20 ივლისს პოლონურ "იაგელონიასთან", 23 ივლისს ავსტრიულ გრაცში თურქულ "ფენერბახჩესთან", 26 ივლისს ბულგარულ "ბეროე სტარა ზაგორასთან" და 28 ივლისს პოლონურ "გურნიკთან".

**დავით თავართქილაძე**

## ფავორიტთა დაპირისპირებაში გაგრამ გაიმარჯვა

პირველი ლიგის ორი ამბიციური კლუბი, "გაგრა" და თბილისის "ლოკომოტივი" სეზონისთვის ემზადებიან და ერთმანეთს საგურამოს ბაზაზე ამხანაგურად შეხვდნენ.

"გაგრამ" 2:0 მოიგო. პირველი გოლი მატჩის მე-3 წუთზე გავიდა: კლუბის ვებგვერდის ცნობით, გოლი **ივანიშვილის** ფლანგური გარღვევისა და საჯარიმოში ჩაწოდების შედეგად გავიდა – "ლოკომოტივის" მეკარე და მცველი ერთმანეთს შეეჯახნენ და ბურთი კარში შეგორდა.

ამის შემდეგ ორივე გუნდს ჰქონდა თავის გამოჩენის შესაძლებლობა, მაგრამ მეკარეები ჩინებულად თამაშობდნენ. მატჩის მეორე ნახევრის 78-ე წუთზე კი "გაგრას" მოთამაშე **სიჭინავამ** მეორე გოლიც გაიტანა.

## გიორგი ხუბუა ზუგდიდში

### დაიმატებს სიონი დილას მოთამაშეებს?

საყრდენი ნახევარმცველი **გიორგი ხუბუა** ივლისის დასაწყისში კიევის "დინამოში" ისინჯებოდა.

19 წლის ხუბუამ კიეველთა ახალგაზრდულ გუნდში სამი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა და "როსიჩთან" მატჩში (7:0) საგოლე გადაცემა მიითვალა. მაგრამ, საქართველოში დაბრუნება მოუხდა.

შესაძლოა, გიორგი დევდარიანის განვრთნილი 17 და 19-წლამდელთა ნაკრებების ყოფილმა მოთამაშემ კარიერა ზუგდიდის კლუბში გააგრძელოს.

შეგახსენებთ, რომ ხუბუა თებერვალში გორის "დილაში" ჩაირიცხა, მაგრამ ფეხი ვერ მოიკიდა და ზაფხულში უკრაინას მიაშურა. მანამდე კი ერთი წელი მოსკოვის "ლოკომოტივში" ვარჯიშობდა.

**მერაბ მამულაშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი

# ურჩი გადამხდელი ლიგიდან მოიკვეთება

## ამიერიდან პირველი ლიგა სალერით შეიმოსება

**გუშინ ფეხბურთის ფედერაციაში კლუბები შეიკრიბნენ და ქართული ფეხბურთის მმართველებს მომავალი ეროვნული ჩემპიონატის თითქმის ყველა დეტალზე შეუთანხმდნენ.**

ამჯერად, შეხვედრას ესწრებოდნენ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი - **ლადო ვარძელაშვილი** და მინისტრის მოადგილე - **დავით კასრაძე**, უმაღლესი ლიგის კლუბები კი სრული შემადგენლობით გამოცხადდნენ, მათ შორის, წინა შეხვედრის გამცდენები – **ილია კოკაია** ("ზესტაფონის" პრეზიდენტი), **გურამ რუხაძე** ("ვიტ ჯორჯიას" პრეზიდენტი), **ფრიდონ ინჯია** (მარტვილის „მერანის" პრეზიდენტი).

ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსაურის ცნობით, წინა ორ შეხვედრაზე, ფაქტობრივად, ყველა საკვანძო საკითხზე შეთანხმდნენ და ამჯერად საკითხები კიდევ ერთხელ გაიარეს და მომავალი ჩემპიონატის კალენდრის კენჭისყრაც ჩაატარეს.

კლუბების წარმომადგენელთა საბჭომ მოიწონა და დაამტკიცა ეროვნული ჩემპიონატის სახეცვლილი სტრუქტურა, ჩემპიონატის დებულებაში შენიშვნები და წინადადებები გაითვალისწინეს. როდესაც მას ფედერაციის გენერალური სამდივნო ჩაასწორებს, აღმასკომი მალევე დაამტკიცებს.

კლუბების წარმომადგენლებმა წინა შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილება ე.წ. "გადათამაშების" შესახებ კიდევ ერთხელ შეცვალეს და საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ უმაღლეს ლიგაში მე-10 ადგილზე გასული გუნდი პირველი



ლიგის მესამეადგილოსანთან გადათამაშებაში აღარ მიიღებს მონაწილეობას.

ახალი სეზონიდან, ჭაბუკთა ლიგის ორივე ასაკის ჩემპიონატებში (1995-96 წწ და 1997-98 წწ დაბადებულები) გუნდების რაოდენობა 16-მდე გაიზარდა, 1995-96-წლიანების გუნდში თამაშის უფლება 1994 წელს დაბადებულ შვიდ ფეხბურთელს ექნება.

პირველ ლიგაში თამაშის უფლება მიეცა „დინამო 2"-ს, რომელიც 1989 და მომდევნო წლებში დაბადებული ფეხბურთელებით დაკომპლექტდება, ხოლო პირველი გუნდიდან "დინამო 2"- ში თამაშს ხუთი ფეხბურთელი შეძლებს. ჩემპიონატის მოგების ან მეორე ადგილზე გასვლის შემთხვევაში, "დინამო 2" უმაღლეს ლიგაში არ აინაცვლებს.

კვლავ მკაცრად დადგა საწევროების გადახდის საკითხი, რაც დღეისათვის 60 ათას ლარს შეადგენს. კლუბების საბჭოს გადაწყვეტილებით, 1 აგვისტომდე საწევროს არშემტანი ავტომატურად პირველ ლიგაში დაქვეითდება.

ძალიან მნიშვნელოვანი ამბავი და ფედერაციას სოლიდური პარტნიორი გაუჩნდა: ამიერიდან საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგის ტექნიკური სპონსორი კომპანია „შალლერ"-ი იქნება და ყველა გუნდი მისი ეკიპირებით შეიმოსება. იმასაც გეტყვით, რომ გერმანულ კომპანიასთან თანამშრომლობის ინიციატივა და შეთანხმება ფეხბურთის ფედერაციას ჰოლდინგ "იბერიაბიზნესჯგუფის" პრეზიდენტმა **ტარიელ ხეჩიკაშვილმა** შესთავაზა. მსგავსი რამ აქამდე არ მომხდარა და ვფიქრობთ, ფინანსური პრობლემებით გაწვალებულ პირველლიგელებს ასეთი სახის დახმარება ძალიან წაადგებათ. ფედერაციასა და ბიზნესს აქამდეც ბევრჯერ უთანამშრომლიათ, მაგრამ კახელზე ანეკდოტის არ იყოს, კლუბებისთვის რა ხეირი? ახლა კი აშკარად იხეირებენ.

ამ ეტაპზე ფედერაცია არ აკონკრეტებს, თუმცა, უმაღლესი ლიგის სასპონსორო ხელშეკრულებებზე მოლაპარაკებები რამდენიმე სოლიდურ კომპანიასთან მიმდინარეობს.

რაც შეეხება კენჭისყრის შედეგებს, ახალ ცხრილში გუნდები ასეთი თანმიმდევრობით გადანაწილდნენ:

**1. ზესტაფონი**
**2. მეტალურგი**
**3. ტორპედო**
**4. დინამო (ბთ)**
**5. კოლხეთი**
**6. დილა**
**7. ვიტ ჯორჯია**
**8. ჩიხურა**
**9. სიონი**
**10. ზუგდიდი**
**11. დინამო (თბ)**
**12. მერანი**

ჩემპიონატის პირველი ტური სამ დღეზე გაიწელება და 10-11-12 აგვისტოს გაიმართება. პირველ ტურში ერთმანეთს შეხვდებიან:

| |
|---|
| ზესტაფონი-მერანი |
| მეტალურგი-დინამო (თბ) |
| ტორპედო-ზუგდიდი |
| დინამო (ბთ)-სიონი |
| კოლხეთი 1913-ჩიხურა |
| დილა-ვიტ ჯორჯია |

სფფ-ის საშეჯიბრო კომიტეტი კალენდრის საბოლოო ვარიანტს უახლოეს დღეებში მოამზადებს. ჩემპიონატის დაწყებამდე კი კლუბების წარმომადგენლები კიდევ ერთხელ 30 ივლისს, დღის 13:00 საათზე კვლავ სფფ-ში შეიკრიბებიან.

**მერაბ მამულაშვილი**

# ფეხბურთი

ლეგიონერი

## ჯაკობია დეკემბერში დაბრუნდება

**ლაშა ჯაკობიას** კარიერაში მორიგი პრობლემა შეექმა: დასრულებულ სეზონში ინტერნეგაზეთმა „უა-ფუტბოლმა" გამოცდილი ქართველის ფეხბურთში დაბრუნება „ტრიუმფალურად" მონათლა და უკრაინის პირველი ლიგის სეზონის სიმბოლური ნაკრების რეზერვისტებში დაასახელა. რეზერვისტებში ყოფნა დიდი პატივი არ იქნებოდა, თუ არ გავითვალისწინებთ, რომ ორი წელი, ფაქტობრივად, ლაშას არ უთამაშია.

სამწუხაროდ, ლაშა ახალი სეზონისთვის უკრაინის პრემიერლიგაში დაბრუნებული უჟგოროდის „გოვერლა-ზაკარპატიეში" ვერ მოემზადა - სეზონის ბოლოს მუხლმა შეაწუხა და მართალია, ერთი ხანობა, მოედანს დაუბრუნდა, მაგრამ ბოლოს მაინც საოპერაციო აღმოჩნდა.

*"კიევში ჯვარედინი იოგების ოპერაცია გამიკეთეს. სამწუხაროდ, აღდგენას დიდი დრო სჭირდება და დასვენება საკმაოდ დიდი ხნით მომიწევს. გუნდი სექტემბერში უნგრეთში სარეაბილიტაციოდ მიშვებს, საამისოდ კი 5 თვე მჭირდება. ალბათ, თამაშს დეკემბერში დავიწყებ. დასანანია, ჩემს ასაკში ეს პრობლემაა, მაგრამ მოედანს აუცილებლად დავუბრუნდები და დარწმუნებული ვარ, მაღალ დონეზე კიდევ 2-3 წელი ვითამაშებ"* – ამბობს ჯაკობია.

**მერაბ მამულაშვილი**

## სტუმრიანობა დინამოს ბაზაზე



**გუშინ** თბილისის "დინამომ" დიღმის ბაზაზე საქართველოს წითელი ჯვრის ორგანიზაციის, ყატარის წითელი ნახევარმთვარის ორგანიზაციის ხელმძღვანელებსა და წეროვანის ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს უმასპინძლა.

სტუმრებმა განახლებული საწვრთნელი ბაზა დაათვალიერეს. შემდეგ კი "დინამოს" აკადემიისა და წეროვანის ბავშვთა სახლის ფეხბურთელებმა ამხანაგურად ამ ღონისძიებისთვის დამზადებული ფორმებით ისპარეზეს – ლურჯებმა თეთრები 7:4 დაამარცხეს.

თამაშის შემდეგ "დინამოს" ხელმძღვანელებმა ბავშვებს გუნდის წევრთა ავტოგრაფებით დამშვენებული ბურთები გადასცეს და სამახსოვრო ფოტოები გადაიღეს, საღამო კი საზეიმო ვახშამით დასრულდა.

**ნათია ლოლაძე,** საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ხელმძღვანელი: *"ჩვენ და ყატარის წითელი ნახევარმთვარის ხელმძღვანელებს "დინამოს" პრეზიდენტ რომან ფიფიასთან და კლუბის წარმომადგენლებთან საინტერესო შეხვედრა გვქონდა. ხელი მოეწერა მომავალი თანამშრომლობის მემორანდუმს, "დინამოს" წარმომადგენლები კი მომავალში ყატარში მიიწვიეს".*

**სალეჰ ალი ალ მუჰანადი,** ყატარის წითელი ნახევარმთვარის გენერალური მდივანი: *"მადლობა ქართულ წითელ ჯვარსა და "დინამოს". მომავალში მჭიდრო ურთიერთობას ვგეგმავთ. ჩვენი ურთიერთობების მთავარი მიზანი ახალგაზრდებში ჯანმრთელი ცხოვრების პროპაგანდა არის. აღფრთოვანებულები ვართ დიდ კლუბში სტუმრობით და აქაური გარემოთი".*

რომან ფიფია, "დინამოს" პრეზიდენტი: *"საინტერესო ვიზიტი იყო, რადგან რაც შეიძლება მეტი ბავშვი უნდა ჩაერთოს სპორტში და ჯანსაღი ცხოვრების წესი აირჩიოს. "წითელ ჯვართან" ურთიერთობას მომავალშიც გავაგრძელებთ. სტუმრებმა ურთიერთობების გაგრძელების სურვილი გამოთქვეს და მიპატიჟება მივიღეთ".*

**მერაბ მამულაშვილი**

ფუტსალი

## თანამეგობრობის თასი თბილისში?

### კაირატის ვიცე-პრეზიდენტი: აქ რუსებიც ითამაშებენ

**ფუტსალში ცნობილი კლუბის, ალმატის "კაირატის" ვიცე-პრეზიდენტი ადილ შარიპკულოვი თბილისში იმყოფება და "ლელოს" მასშტაბური ჩანაფიქრი გაუმხილა - ყაზახები ქართველებთან ერთად დიდი საერთაშორისო ტურნირის ჩატარებაზე ფიქრობენ.**

**შეგახსენებთ, რომ "კაირატი" უეფას თასის (ამ სახეობის ჩემპიონთა ლიგის) საუკეთესო ოთხთა ფინალის მრავალგზის მონაწილეა. ბოლო გათამაშებაშიც ევროპის ოთხ საუკეთესოთა შორის მოხვდა და კენჭისყრაზე პირდაპირ ელიტ რაუნდში გაანაწილეს:**

- "იბერიას" პრეზიდენტ ვახო წერეთელთან ვმეგობრობ და მსურს, რომ მასთან ერთად საერთაშორისო ტურნირი ჩავატარო.

**- კონკრეტულად რა ტურნირზეა ლაპარაკი?**

- ფუტსალშიც ძალიან კარგი იქნებოდა "თანამეგობრობის თასის" მსგავსი ტურნირის გამართვა. მიმაჩნია, რომ ეს იდეა პოსტსაბჭოური ქვეყნებისთვის მისაღები იქნება.

**- თავად ტურნირის გამართვას სად აპირებთ?**

- თბილისში ამიტომაც ჩამოვედი, რომ გვსურს, საქართველომ უმასპინძლოს.

**- მერედა რუსების საქართველოში ჩამოსვლა სათუო არ იქნება?**

- იმედი მაქვს, რომ ტურნირი იმდენად საინტერესო იქნება, რომ რუსებიც დაინტერესდებიან. გარდა ამისა, თბილისი უსაფრთხო ქალაქია, რაც მათაც კარგად იციან და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, ფუტსალის სამყაროში არსებული მეგობრული და საქმიანი ურთიერთობები გვაიმედებს.



ადილ შარიპკულოვი

**- რატომ მაინცა და მაინც თბილისი?**

- ყველასათვის მისაღები ქალაქია და მშვენიერი სპორტის სასახლეა. თუმცა, თავდაპირველად იყო ლაპარაკი ტურნირისთვის შოუს სახე მიგვეცა და ბათუმის ქუჩებში ჩაგვეტარებინა, ხალხის მასობრივი ინტერესი რომ გამოგვეწვია. მაგრამ მიმაჩნია, რომ დარბაზში, კლასიკურ ვარიანტში ჩატარება აჯობებს.

თბილისში იმიტომაც ვხვდებით, რომ ჩანაფიქრი რეალობად ვაქციოთ. ყველას აქვს სურვილი, იყოს მეტი ტურნირი, კავშირი და თანამშრომლობა. ერთი ტურნირი თბილისში უნდა ჩვატაროთ, მეორე - ალმატიში, მერე კიევში, ბაქოში და ა.შ.

ბოლო წლებია, "იბერია სტარის" პრეზიდენტი ვახტანგ წერეთელი ფუტსალის პოპულარიზაციას ცდილობს. მისი დამსახურებაა, რამდენიმე წლის წინ აბსოლუტურად არაპოპულარულმა სპორტის ამ სახეობამ დღეს ბევრი გულშემატკივარი რომ შეიძინა, საკუთარ წვენში რომ აღარ იხარშება და საერთაშორისო ამბიცია გაუჩნდა: თბილისმა უეფას თასის ჯგუფური ეტაპის მატჩებს უმასპინძლა, გუნდი ევროპული ფუტსალის ელიტასთან ტრიალებს, ახლახან კი გუნდის მთავარ მწვრთნელად ტოპ-კლასის ისეთი მწვრთნელი ჩამოიყვანა, რომლის დარი უცხოელი არც ერთ სახეობაში არ გვყოლია.

ახლა კი **ვახო წერეთელი** მასშტაბური საერთაშორისო ტურნირის ჩატარებაზე ფიქრობს:

- მსგავს ტურინირებს პორტუგალიელები ზღვის პირას ატარებდნენ და მისი მთელი ხიბლი ეს არის: ზაფხულში, როდესაც უამრავი დამსვენებელია, ხალხს გართობა და სანახაობა სჭირდება, ფეხბურთი კი ამ დროს მისწრებაა. თან ერთობიან, თან სიამოვნებას იღებენ. ამას გარდა, მინიმუმ 12 გუნდი თავის გულშემატკივართან ერთად ჩამოვა, რაც თავისთავად შემოსავალიც არის.

ვფიქრობდით, რომ ტურნირი ბათუმის კორტებზე გაგვეკეთებინა, რომლის ფუტსალის მოედნად გადაკეთება ადვილია და ბევრი მაყურებელიც იქნებოდა. მიმაჩნია, რომ ტურნირის ეს ფორმატი გამართლებული იქნებოდა.

**- პოსტსაბჭოელებს მოიწვევთ?**

- არა მხოლოდ მათ, ევროპელებსაც. ესპანეთისა და პორტუგალიის წამყვანმა კლუბებმა უკვე თანხმობა გვითხრეს.

**- ანუ ეს არ იქნება ფუტსალში "თანამეგობრობის თასი"?**

- "თანამეგობრობის თასის" კი არა, გაცილებით მასშტაბური ტურნირის ჩატარება გვსურს. ეს არ იქნება ჩემპიონთა ლიგის ალტერნატივა, მაგრამ ძალიან საინტერესო ტურნირი უნდა გამოვიდეს. ხომ გითხარით, ესპანელებმა და პორტუგალიელებმა თანხმობა გვითხრეს. მეორე ვარიანტიც განიხილება: რამდენიმე ქვეყანაში 4-4-გუნდიანი ტურნირი ჩატარდეს, ფინალური ტურნირი კი - ბათუმში. შესაძლოა, ბათუმმა პირველ ექსპერიმენტალურ ტურნირს უმასპინძლოს, სადაც ფორმატზე მოვილაპარაკებთ. ამ წამოწყების საფუძველი კი ის არის, რომ საერთაშორისო ტურნირების ნაკლებობაა და ამ ვაკუუმის შევსება აუცილებელია.

**- ყაზახებს დარბაზში თამაში სურთ.**

- ამიტომაც ვამბობ, რომ ახლა ფორმატზე ვლაპარაკობთ, ადგილზე. მე მიმაჩნია, რომ დარბაზს ზღვისპირა ქალაქში თამაში სჯობია.

**- ტურნირზე რუსული გრანდების სტუმრობა რამდენად რეალურია?**

- რუსები ჩვენ ყოველთვის გვეხმიანებიან და ტურნირებზეც გვიწვევენ. ახლახან ნორილსკის "ნიკელის" პრეზიდენტი დაგვიკავშირდა და თვითონაც სურდა საერთაშორისო ტურნირის გამართვა, სადაც ყველა გუნდს ჩარტერული რეისით ჩაიყვანდა. მაგრამ ნორილსკისგან განსხვავებით, ზაფხულში ბათუმში თამაში ყველასათვის სასიამოვნო იქნება. შესაძლოა, იდეა წელს ვერ განხორციელდეს, მაგრამ მოლაპარაკებები დაწყებულია და მომავალი წლისთვის მაინც განვახორციელებთ.

**მერაბ მამულაშვილი**

მილანი



კაკა მზადაა კარიერა "მილანში" გააგრძელოს

## კაკა მილანს უახლოვდება

### მთავარია, რას იტყვის რეალი...

**იტალიური** სპორტული პრესა ირწმუნება, რომ თუ **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** "მილანიდან" პსჟ-ში გადავა, **რიკარდო კაკა** მადრიდის "რეალს" დატოვებს და "როსონერიში" დაბრუნდება. კაკამ მსოფლიო მასშტაბით სახელი სწორედ ლომბარდიულ გრანდში გაითქვა და განსაკუთრებულად სწორედ "როსონერის" გულშემატკივრებს უყვართ – სწორედ ამიტომ, ტიფოზთა ნაწილი პირდაპირ მოითხოვს კლუბის მესვეურებისგან ამ ტრანსფერს და მით უმეტეს მას შემდეგ, რაც **ტიაგო სილვას** სანაცვლოდ ლომბარდიელთა ბიუჯეტი 42 მილიონი ევროთი გაიზარდა. მაინც, რას უნდა აფასებდნენ მადრიდელები 30 წლის ბრაზილიელ შემტევს? – ეს ინფორმაცია ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ სავარაუდოდ, თანხა 15 მილიონ ევროს არ ასცდება. თუ იტალიურ პრესას დავუჯერებთ, ესპანელები რიკარდოს მოცილებით ისედაც გვარიან ხეირს ნახავენ და ამადაც უნდათ მასთან განშორება – საქმე იმაშია, რომ კაკას "რეალთან" ხელშეკრულებით კიდევ სამი წელი აკავშირებს და ამ პერიოდში, დაახლოებით 40 მილიონი ევრო უნდა მიიღოს. ფაქტია, რომ ბრაზილიელი "სამეფო კლუბს" ვერ მოერგო და ნაკლებად სავარაუდოა, რომ სამ წელიწადში 40 მილიონის საქმე გააკეთოს – მოკლედ, რიკი გასაშვებად ჰყავთ გამეტებული და ვინ წაიყვანს მას, თუ არა "მილანი", გუნდი, სადაც კაკა განსაკუთრებულად უყვართ. აღნიშნულ საკითხზე კომენტარი კლუბის დირექტორატის წარმომადგენელმა **არიედო ბრაიდამ** გააკეთა:

*"კაკას რამდენიმე დღის წინ ვესაუბრე და მითხრა, რომ "მილანში" სიამოვნებით დაბრუნდება. სიმართლე გითხრათ, ამ სიტყვებმა ძალიან გამახარა, რადგან რიკარდოს გადაბირებაზე აქტიურად ვფიქრობთ. მართალია, ჯერ მოლაპარაკების პროცესი არ დაწყებულა, მაგრამ ამას ბევრი არაფერი უდგას წინ. დამოკიდებულია თუ არა კაკას შეძენა იბრაჰიმოვიჩის გასხვისებაზე? – საერთოდ, ფეხბურთში გარკვეულწილად ყველაფერი ერთმანეთზეა გადაჯაჭვული, მაგრამ ამ ორ მოვლენას შორის პირდაპირ კავშირს მაინც ვერ ვხედავ. კაკას გადაბირება ნამდვილად გვსურს და მაქსიმუმს გავაკეთებთ, რომ მიზანს მივაღწიოთ. რაც მთავარია, "მილანში" გადმობარგება თავად ფეხბურთელს სურს და გამომდინარე აქედან, ოპტიმიზმით ვარ აღსავსე".*

**ლაშა წიკლაური**

ჰოლანდიის ნაკრები

## რობენი ვან გაალს მიესალმა

**არიენ რობენი** ევროპის ჩემპიონატის გამო გახანგრძლივებული შვებულებიდან დაბრუნდა და „ბაიერნს" შეუერთდა, თუმცა სრული დატვირთვით ჯერ არ ვარჯიშობს. ჰოლანდიელი ტრავმირებული არ არის, მაგრამ ბავარიული გრანდის ექიმები პირველივე დღეებში მის ბოლომდე დატვირთვას ერიდებიან. შესაბამისად, რობენი **კლაუდიო პისაროსთან** (პერუელი ახლახან გამოჯანმრთელდა) ერთად ინდივიდუალურად ემზადება.

რობენი გუშინ „ბაიერნის" ყოფილი თავკაცის **ლუის ვან გაალის** ჰოლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე დანიშვნას გამოეხმაურა: *„მიხარია, რომ ვან გაალი დანიშნეს, რადგან ლუისი შესანიშნავ სპეციალისტად მიმაჩნია. მე მას ყოველთვის კარგად ვუგებდი. მჯერა, რომ ჰოლანდიის ნაკრებს მასთან ერთად სერიოზული წარმატებების მიღწევა შეუძლია,"* - განაცხადა 28 წლის გარემარბმა.

ჰოლანდიელმა მომავალი სეზონის შესახებაც ისაუბრა: *„წინა სეზონი ჩემთვის კოშმარული გამოდგა. იმედი მაქვს, რომ ახალ სეზონში ტრავმას აღარ მივიღებ და არც იღბალი შემაქცევს ზურგს."*

**გოტფრიდ ლენცი**



არიენ რობენი შვებულებიდან დაბრუნდა

უდინეზე

## გვიდოლინი ტიფოზებს არ ეთანხმება

### პოცოს მხოლოდ მადლობა ეკუთვნის

"უდინეზეს" გულშემატკივართა გარკვეული ნაწილი უკმაყოფილოა იმით, რომ კლუბის მესვეურები წამყვან ფეხბურთელებს ყიდიან და ეს უკვე წლებია გრძელდება. თავად განსაჯეთ, გასულ ზაფხულს ფრიულელები **კრისტიან საპატას, გეკჰან ინლერს** და **ალექსის სანჩესს** შეელიენ, ამ ზაფხულს კი უკვე გაასხვისეს **სამირ ჰანდანოვიჩი, კვადვო ასამოა** და **მაურისიო ისლა.** ეს ყველაფერი ტოფოზთა აღშფოთების საბაბი გახდა, თუმცა საპირისპირო პოზიცია აქვს "უდინეზეს" მთავარ მწვრთნელ **ფრანჩესკო გვიდოლინს** – სწორედ მას გადავცეთ სიტყვა:

*"სიმართლე გითხრათ, მიკვირს გულშემატკივართა აღშფოთების, რადგან "უდინეზეს" წლებია ასეთი პოლიტიკა აქვს და მიუხედავად ამისა, გუნდი წარმატებებს აღწევს. პირადად მე, პოცოების ოჯახს მხოლოდ მადლობას ვეტყოდი, რადგან ისინი უნარიანად ხელმძღვანელობენ კლუბს და ამაზე შედეგები მეტყველებს. მართალია, არავის გვსიამოვნებს წამყვან ფეხბურთელებთან განშორება, მაგრამ ხშირად ეს გარდაუვალია. მაგალითად, სამირ ჰანდანოვიჩი გადაიზარდა "უდინეზესთვის" და სრულიად ბუნებრივია, რომ თავისი გზა მონახა. არაუშავს, ახალ სამირს მოვნახავთ, ეს ყველაზე კარგად გვეხერხება. გულშემატკივრები შემიძლია დავამშვიდო - მიუხედავად ყველაფრისა, "უდინეზე" აუცილებლად იბრძოლებს მაღალი მიზნებისთვის".*



ფრანჩესკო გვიდოლინისთვის "უდინეზეს" მესვეურთა პოლიტიკა მისაღებია

**ლაშა წიკლაური**

შალკე



# ჰუნტელაარი არ ჩქარობს

## გელზენკირხენში კი უკვე ნერვიულობენ

შალკეს მწვრთნელი ჰუუბ სტევენსი და თავდამსხმელი კლაას-იან ჰუნტელაარი

ბუნდესლიგის გასული საუკეთესო ბომბარდირს, „შალკეს" ჰოლანდიელ თავდამსხმელ **კლაას-იან ჰუნტელაარს** გელზენკირხენულ კლუბთან კონტრაქტი 2013 წლის ზაფხულში უმთავრდება, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ ახლავე ახალი კონტრაქტი არ გააფორმა, გერმანული კლუბი იძულებული გახდება, წინა სეზონში 29 გოლის გამტანი ჰუნტელაარი ან აგვისტოში გაყიდოს, ან ზამთარში უფრო იაფად შეელიოს, ანაც მომავალ ზაფხულს მისი უფასოდ დათმობა მოუწევს. „შალკეს", რა თქმა უნდა, არც ერთი ვარიანტი არ აწყობს, ჰოლანდიელი კი ახალი კონტრაქტის გაფორმებას არ ჩქარობს, რის გამოც გელზენკირხენელები უკვე მაგრად აანერვიულა.

*„მე არსად მეჩქარება და არც კონკრეტული თარიღი დავთქვი, თუ როდის უნდა მივიღო გადაწყვეტილება. ახლო მომავალში ჩემს აგენტთან ერთად კიდევ ერთხელ შევხვდები „შალკეს" ხელმძღვანელებს და მერე უფრო მეტი მეცოდინება,"* - განუცხადა 28 წლის გოლეადორმა „კიკერს".

ჰუნტელაარი არ ამბობს, რომ „შალკედან" წასვლა უნდა, პირიქით, აცხადებს, მხოლოდ „შალკეზე" ვფიქრობ და არ ვიცი, არის თუ არა რომელიმე სხვა გუნდი ჩემით დაინტერესებულიო, მაგრამ არც იმას ამბობს, რომ „შალკესთან" ახალ ხელშეკრულებას ასი პროცენტით გააფორმებს. შესაბამისად, სანამ ახალი კონტრაქტი არ გაფორმებულა, „შალკეს" შეფებს და ფანებს ნერვიულობის მიზეზი ნამდვილად აქვთ.

**გოტფრიდ ლენცი**

ამბები

## ვესელსი კარიერას ამთავრებს

მიუნხენის „ბაიერნის" ყოფილი მეკარე **შტეფან ვესელსი** კარიერის დამთავრებაზე ფიქრობს და თუ უახლოეს მომავალში რაიმე სასწაული არ მოხდა, ბუცებს ლურსმანზე ჩამოკიდებს.

*„ფეხბურთში არასდროს არაფერი უნდა გამორიცხო, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ჩემი კარიერა დასრულებულია. გადაწყვეტილება რამდენიმე თვის წინ მივიღე, თუმცა მაინც დავიტოვე შანსი, რადგან ჯერ არ ვარ საპენსიო ასაკში, თუმცა არა მგონია, რომ რამე შეიცვალოს"*, - უთხრა „შპორტ ბილდს" 33 წლის მეკარემ, რომელიც გასულ სეზონში დანიური „ოდენსეს" კარს იცავდა.

ვესელსი შესაძლო სასწაულში რაიმე ძალიან ხელსაყრელ წინადადებას გულისხმობს – თუ ამ დღეებში სერიოზული მთხოვნელი გამოუჩნდა, კარიერის გაგრძელებაზე დაფიქრდება. შტეფან ვესელსს „ბაიერნისა" და „კიოლნის" ფორმით ბუნდესლიგაში 60 მატჩი აქვს ჩატარებული.

## დიეგო რიოში არ წავა

გერმანული მედიის ცნობით, „ვოლფსბურგის" ბრაზილიელი ნახევარმცველი **დიეგო** რიო-დე-ჟანეიროს ფლამენგოში არ გადავა – ჩვენი გერმანელი კოლეგების ინფორმაციით, ბრაზილიელებმა ვოლფსბურგელებს სასაცილო წინადადებით მიმართეს და ტრანსფერზე მაშინვე უარი მიიღეს. როგორც ჩანს, „ფლამენგომ" „ვოლფსბურგს" დიეგოს სანაცვლოდ იმდენად მცირე თანხა შესთავაზა, რომ „მგლების" პრესატაშე **რონი გერშმა** დეტალებზე საუბარი არ ისურვა. მან მხოლოდ ის თქვა, რომ დიეგოს, რომელიც ბრაზილიაში მკურნალობდა, ვოლფსბურგში დღეს ელოდებიან. „ბილდის" ინფორმაციით, „ფლამენგოს" 27 წლის დიეგოს არენდით აყვანა უნდოდა და თანაც, ბრაზილიელებს ვოლფსბურგისთვის მოუთხოვიათ, ხელფასის ნახევარი ისევ თქვენ უხადეთო...

## ჟილარდინო და გრანკვისტი რუსეთში?

ჩვენი იტალიელი კოლეგების ცნობით, „ჯენოა" რუსულ კლუბებთან აწარმოებს მოლაპარაკებებს. საქმე ეხება გენუური კლუბის ფეხბურთელებს, **ანდრეას გრანკვისტსა და ალბერტო ჟილარდინოს**. „სკაი სპორტ იტალიას" ინფორმაციით, გენუელთა სპორტული დირექტორი **სტეფანო ჩაპოცუკა** რუსეთში იმყოფება – გრანკვისტის გადაბირება სანქტ პეტერბურგის „ზენიტს" სურს, ხოლო ჟილარდინოთი მოსკოვის „ლოკომოტივა" დაინტერესებული.

## იუვეს ტალანტი ვერდერში?

**ელჯერო ელიას** გადაბირების შემდეგ, ბრემენის „ვერდერი" „იუვენტუსის" კიდევ ერთი ფეხბურთელით დაინტერესდა. „ბილდის" ცნობით, ტურინული კლუბის შეფებმა ბრემენელ კოლეგებს 18 წლის ცენტრალური მცველი **პრინს-დესირ გუანო** სწორედ ელიას შესახებ მოლაპარაკებების დროს შესთავაზეს. ეს უკანასკნელი საფრანგეთის 19-წლამდელთა ნაკრების წევრია.

**გოტფრიდ ლენცი**

## ნოტინგემი მაკარტის იწვევს

„ნოტინგემ ფორესტის" ყატარელი მფლობელები გუნდში გამოცდილი მწვრთნელის მიწვევას აპირებენ. პირველად მათ **ჰარი რედნაპი** გაახსენდათ, მაგრამ „ტოტენჰემის" ყოფილმა თავკაცმა ჩემპიონშიპში „დაქვეითებაზე" უარი თქვა. „სიტი გრაუნდზე" დანიშვნის მომდევნო პრეტენდენტი „ვულვერჰემპტონის" ყოფილი მწვრთნელი **მიკ მაკარტია**. *„მიკი ერთ-ერთი ის მწვრთნელია, ვისთანაც მოლაპარაკებები უკვე დავიწყეთ. თუკი დაგვთანხმდება, მის გვერდით მუშაობა ჩვენთვის მხოლოდ პატივი იქნება. ბუნებრივია, ნებისმიერი მესაკუთრე ოცნებობს თავისი გუნდი იმ სპეციალისტს ჩააბაროს, ვინც სხვებზე უკეთ იცის თავისი საქმე"*, – თქვა **აბდულაზიზ ალ-ჰასავიმ**. ირლანდიელმა ორჯერ მოახერხა ჩემპიონშიპის მოგება, 2005 წელს მან ეს „სანდერლენდთან" ერთად გააკეთა, 2008-ში კი „ვულვერჰემპტონის" თავკაცის რანგში ალზევდა პრემიერლიგაში.

## მოდრიჩი უარზეა

„ტოტენჰემი" **ლუკა მოდრიჩით** დაინტერესებული კლუბების წინადადებებს იხილავს, თუმცა პარალელურად ცდილობს დარჩენაზე დაიყოლიოს. ამისთვის „დეზებმა" ფეხბურთელს ხელფასის გაორმაგება შესთავაზა. მოქმედი კონტრაქტით ხორვატი 3,2 მილიონ ევროს იღებს. ესპანური „მარკას" ცნობით, ლუკამ უარი თქვა წინადადების განხილვაზე და ისევ და ისევ „რეალში" გაშვებას ითხოვს. მას არც ის აშინებს, რომ სამეფო კლუბს მის პოზიციაზე გერმანელი **მესუთ იოზილი** ჰყავს.

**ლევან ბიბილაშვილი**

პარი სენ-ჟერმენი

# რთული გადაწყვეტილება

გუშინდელ ნომერში ვწერდით, რომ "მილანმა" საბოლოოდ დაადასტურა 42 მილიონ ევროდ **ტიაგო სილვას** "პარი სენ-ჟერმენში" ტრანსფერი. ფეხბურთელის ხელფასი წელიწადში 7,5 მილიონი ევრო იქნება, რაც იმას ნიშნავს, რომ "მანჩესტერ იუნაიტედის" **რიო ფერდინანდის** შემდეგ ის ყველაზე მაღალანაზღაურებადი მცველი გახდა მსოფლიოში. ბრაზილიელმა ლურჯ-წითელი ფორმის მორგების შემდეგ პირველი კომენტარი "ტვიტერში" გააკეთა, სადაც აღნიშნა, რომ თანხმობის თქმა ფრანგების შეთავაზებაზე ერთ-ერთი ყველაზე რთული ნაბიჯი იყო მის ცხოვრებაში და რომ ის "მილანს" დიდებული სამი წლისთვის მადლობას უხდის. "ეკიპის" ცნობით, პრაქტიკულად გადაწყვეტილია **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** ტრანსფერის საკითხიც. ის დღე-დღეზე გააფორმებს ხელშეკრულებას პარიზელებთან. 30 წლის თავდამსხმელის სანაცვლოდ "როსონერი" 20 მილიონ ევროს მიიღებს. შვედი ვარსკვლავის კონტრაქტი სამწლიანი იქნება, ხელფასი კი 14 მილიონ ევროს მიაღწევს. იბრას "მილანი" 12 მილიონს უხდის.

"გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, გუშინვე საბოლოოდ გაირკვა, რომ "პარი სენ-ჟერმენთან" 5-წლიან ხელშეკრულებას გააფორმებს "პესკარას" 19 წლის პლეიმეიკერი **მარკო ვერატი**. იტალიური კლუბი კომპენსაციის სახით 12 მილიონს მიიღებს. ფეხბურთელის ანაზღაურება კი წელიწადში 1,5 მილიონი ევრო იქნება.



კრისტიან გურკუფი პარი სენ-ჟერმენის ხელმძღვანელობას ფრანგული ფეხბურთისადმი გულგრილობაში სდებს ბრალს

## სახიფათო ტენდენცია

"ლორიანის" თავკაცმა **კრისტიან გურკუფმა (იოან კურკუფის** მამა) პსჟ-ში ბოლო დღეებში დატრიალებულ მოვლენებს ფეხბურთის მომავლისთვის სახიფათო ტენდენცია უწოდა. მისი აზრით, მანამდე, ვიდრე სიტუაცია უკონტროლო გახდება, ევროპის წამყვანმა ჩემპიონატებმა გარკვეულ ეკონომიკურ ბალანსს უნდა მიაღწიონ. *"პსჟ და მისი მსგავსი კლუბები მთელი მსოფლიო ფეხბურთისთვის წარმოადგენენ პრობლემას, რადგან ამ ეტაპზე ისინი არსებობენ მხოლოდ იმ ფულის წყალობით, რასაც მათ მესაკუთრეები აძლევენ. ეს სახიფათოა, რადგან კლუბი ფულს ფეხბურთში არ აბანდებს. ეს სუფთა ბიზნესგარიგებაა. აუცილებელია, რომ გარკვეულ ეკონომიკურ ბალანსს მივაღწიოთ. მე თუ მკითხავთ, ფრანგებმა გერმანელებს უნდა მივბაძოთ, როგორც სპორტული, ისე ეკონომიკური ორგანიზაციის თვალსაზრისითაც"*, – თქვა კრისტიან გურკუფმა.

**ლევან ბიბილაშვილი**

ჰამბურგი

# სკანდალი ვან დერ ვაარტის გამო

## ბოსმა და ინვესტორმა ერთმანეთს დასცხეს



რაფაელ ვან დერ ვაარტი ჰამბურგში არ დაბრუნდება

„ჰამბურგში" ისევ მძიმე და ფეთქებადი ვითარებაა – როგორც ჩანს, ამ კლუბს უბრალოდ არ უწერია სიმშვიდე. ბუნდესლიგის „უკანასკნელმა დინომ" ბოლო წლებში უთვალავი მწვრთნელი გამოიცვალა, ფეხბურთელებიც მიდი-მოდიან და ბოლოს ხელმძღვანელობაც შეიცვალა, მაგრამ HSV-ში მაინც ქაოსია. წინა კვირაში ჩრდილოგერმანული კლუბის ვარჯიშზე ჩხუბი მოხდა და მთავარმა დამნაშავემ, **სლობოდან რაიკოვიჩმა** ახალი გუნდი უნდა ეძებოს, ახლა კი ერთმანეთს ბოსი **კარლ ედგარ იარხოვი** და ინვესტორი **კლაუს მიხაელ კიუნე** დაეტაკნენ.

ამ უკანასკნელთა დაპირისპირების მიზეზი **რაფაელ ვან დერ ვაარტის** სავარაუდო ტრანსფერია, რომელიც ახლა უკვე ჩაშლილად უნდა გამოვაცხადოთ. ინვესტორი კიუნე ჰოლანდიელის „ჰამბურგში" დაბრუნებას ითხოვდა და მზად იყო, ტრანსფერის ხარჯების ნახევარი თავად გადაეხადა, მაგრამ იარხოვმა განაცხადა, რომ HSV ვან დერ ვაარტის ტრანსფერის ნახევარსაც ვერ დააფინანსებს, რის გამოც კიუნეს გულისწყრომა დაიმსახურა. ყველაფერი კი იმით დამთავრდა, რომ ვან დერ ვაარტი „ჰამბურგში" არ დაბრუნდება.

ზოგადად, ეს ფაქტობრივად იმასაც ნიშნავს, რომ ჰამბურგელ ქომაგებს ამ ზაფხულს არც ერთი ხმაურიანი ტრანსფერის იმედი არ უნდა ჰქონდეთ. მიუხედავად ამისა, მთავარი მწვრთნელი **ტორსტენ ფინკი** იმედოვნებს, რომ ორსამ კარგ ფეხბურთელს მაინც უყიდიან.

*„საუკეთესო ექვსეულში მოსახვედრად ბრძოლა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეგვეძლება, თუ ნახევარდაცვას ორისამი ფეხბურთელით, ხოლო დაცვას კი ერთი კარგი უკანახაზელით მაინც გავაძლიერებთ. სხვა შემთხვევაში, ჩვენი მიზანი ისევ მხოლოდ პირველ ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნება უნდა იყოს. ამიტომაც ვიმედოვნებ, რომ ხელმძღვანელები ფინანსურ სახსრებს გამონახავენ და გუნდს გააძლიერებენ"*, - უთხრა ფინკმა „კიკერს".

შეგახსენებთ, რომ „ჰამბურგმა" დღემდე მხოლოდ ლატვიელი თავდამსხმელი **არტიომ რუდნევსი**, მეკარე **რენე ადლერი** და შემტევი ნახევარმცველი **მაქსიმილიან ბაისტერი** გადაიბირა.

**გოტფრიდ ლენცი**

ნაპოლი

# ბერამი და გამბერინი ნეაპოლში

## დე ლაურენტისი სიტყვას ასრულებს

"ნაპოლის" ოფიციალურ ვებგვერდზე გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, უახლოეს დღეებში გუნდს ორი ახალი ფეხბურთელი შეემატება: **ვალონ ბერამი და ალესანდრო გამბერინი**. ორივე "ფიორენტინაში" ასპარეზობდა და ნეაპოლში სწორედ ფლორენციიდან ჩავიდნენ. დიახ, უკვე ჩავიდნენ და სულ მალე, სამედიცინო შემოწმებასაც გაივლიან – მოვუსმინოთ "ნაპოლის" პრეზიდენტ **აურელიო დე ლაურენტისს**:

*"გულშემატკივრებს დავპირდი, რომ სატრანსფერო ბაზარზე აქტიურები ვიქნებით და სიტყვას ვასრულებ კიდეც. ვალონ ბერამი ნახევარდაცვას გააძლიერებს, ალესანდრო განბერინი კი დაცვაში შეგვეშველება. უკანა ხაზს გაძლიერება აშკარად სჭირდებოდა და ვალტერ მაცარი ძალიან კმაყოფილი იქნება. როდესაც მას ვუთხარი, რომ გამბერინის გადაბირების შანსი გვქონდა, არც დაფიქრდა და მთხოვა, რომ საქმე ბოლომდე მიმეყვანა. დარწმუნებული ვარ, ორივე მათგანი გუნდს გვარიანად გააძლიერებს. გაჩერებას არ ვაპირებთ, მოლაპარაკებებს კიდევ რამდენიმე ფრონტზე ვაწარმოებთ და სიახლეებსაც მალე შეიტყობთ. მინდა ყველამ იცოდეს, რომ ერთი და ორი ფეხბურთელის წასვლით, ცხოვრება არ მთავრდება... პირიქით, ეს ყველაფერი გაძლიერების სტიმული უნდა გახდეს"*.

აქვე ვთქვათ, რომ 27 წლის ბერამი "ფიორენტინას" ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი გახლდათ, გასულ სეზონში 40 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და მართალია, გოლი არ გაუტანია, მაგრამ რამდენიმე საგოლე გადაცემა ნამდვილად მიითვალა აქტივში. რაც შეეხება 30 წლის ალესანდრო გამბერინს, 2005 წლიდან "ფიორენტინას" ღირსებას იცავდა – ფლორენციულ გუნდში 194 მატჩი აქვს ჩატარებული და 6 გოლი გატანილი; მოკლედ, "ვიოლას" ერთ-ერთი ლიდერი ტოვებს და ასეთ დროს, მისი კომენტარი სწორედაც რომ ყველაზე საინტერესოა – ბოლოს, სიტყვა გამბერინის გადავცეთ:

*"ფიორენტინაში" საუკეთესო წლები გავატარე, მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული და მათ შორის, ჩემს ფლორენციულ კარიერასაც. უბრალოდ, მივხვდი, რომ "ვიოლაში" საკუთარი თავი ამოვწურე და დროა, რაღაც შევცვალო. "ნაპოლი" ამბიციური გუნდია, სადაც დიდი ენთუზიაზმით ვითამაშებ. მართალია, კონტრაქტისთვის ხელი ჯერ არ მომიწერია, მაგრამ ამას აღარაფერი უდგას წინ. მინდა შემთხვევით ვისარგებლო და ფლორენციელ გულშემატკივრებს განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო – ისინი საუკეთესო გუნდს იმსახურებენ და იმედია, "ფიორენტინა" მალე დაიბრუნებს ძველ დიდებას. ეს ფუჭი სიტყვები არაა, დელა ვალეებს კარგი გეგმები აქვთ და მჯერა, რომ ყველაფერი შესანიშნავად იქნება/. პირადად მე, ცხოვრების ბოლომდე "ფიორენტინას" გულშემატკივარი ვიქნები"*.



ალესანდრო გამბერინი და ვალონ ბერამი "ფიორენტინადან" "ნაპოლიში" წყვილად გადადიან

**ლაშა ნიკლაური**

● ბაიერნი. მოსალოდნელი ტრანსფერი

# საპნის ოპერა: ხავი მარტინესი და ბაიერნი

## მიუნხენელები ესპანელზე ოცნებას აგრძელებენ და გეგმა B არ აქვთ

**მიუნხენის „ბაიერნი" იოლად არასდროს ნებდება ხოლმე – განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ისეთი ფეხბურთელის გადაბირებას ეხება, რომელიც რეკორდმაისტერის ყველა ხელმძღვანელს და მწვრთნელს მოსწონს. თვეზე მეტია, რაც არ წყდება საუბრები იმის შესახებ, რომ ბავარიელებს ესპანეთის ნაკრებისა და ბილბაოს „ატლეტიკის" 23 წლის ნახევარმცველის, ხავი მარტინესის ყიდვა სურთ და მიუხედავად იმისა, რომ „ბაიერნის" ეს სურვილი ოფიციალურადაც არაერთხელ დადასტუდა, საქმე წინ ვერ მიდის.**

მიზეზი პირველ რიგში ის არის, რომ ბასკები ახალგაზრდა ფეხბურთელში, რომელიც ოლიმპიადაზეც იასპარეზებს, ძალიან ბევრ ფულს, 40 მილიონ ევროს ითხოვენ. რეკორდმაისტერის ბოსებს სჯერათ, რომ „ბილბაოსთან" მოლაპარაკებების დაწყების შემთხვევაში ვაჭრობა და დაკლება შესაძლებელია, მაგრამ ფეხბურთელმა რამდენიმე დღის წინ თქვა, „ატლეტიკიდან" წასვლაზე არ ვფიქრობო. მიუხედავად ამისა, „ბაიერნის" ხელმძღვანელები ხელის ჩაქნევას არ აპირებენ – ხავი მარტინესის გვარი მიუნხენური გრანდისთვის სასურველი ფეხბურთელების სიაში ისევ პირველ პოზიციაზე წერია. მეტსაც გეტყვით: „კიკერის" ინფორმაციით, „ბაიერნი" მხოლოდ ხავი მარტინესზე ფიქრობს სერიოზულად, ხოლო „გეგმა ბ" მიუნხენელებს არ გააჩნიათ.


ბაიერნში ხავი მარტინესზე ოცნებობენ

*„ყველამ იცის, რომ ჯერ კიდევ გვაქვს მისი ყიდვის იმედი. ჩვენი სურვილი იმდენად დიდია, რომ არ დავნებდებით და ხავი მარტინესის ხელში ჩასაგდებად ბოლომდე ვიბრძოლებთ,"* - ეს რეკორდმაისტერის მთავარი მწვრთნელის, **იუპ ჰაინკესის** სიტყვებია.

კარგია, რომ მიუნხენელები არ ნებდებიან – როგორც ზემოთაც ვთქვით, მათ ყურების ჩამოყრა არ სჩვევიათ – მაგრამ უნიჭიერესი ესპანელი საყრდენი ნახევარმცველის ტრანსფერს ამ ეტაპზე სამი რამ უშლის ხელს. მოდი, ერთად განვიხილოთ, რამდენად სერიოზულია ეს წინაალმდეგობები და ერთად მივიდეთ დასკვნამდე, რამდენად რეალურია მარტინესის ტრანსფერი.

### პირველი წინაალმდეგობა: ხომ თქვა, დარჩენა მინდაო?!

ხავი მარტინესს „ბილბაოსთან" კონტრაქტი 2016 წლამდე აქვს გაფორმებული და ცოტა ხნის წინ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, ბილბაოდან წასვლაზე არ ვფიქრობ, „ატლეტიკში" კონტრაქტის ამოწურვამდე დავრჩებიო. ერთი შეხედვით ეს სერიოზული არგუმენტი და მიზეზია საიმისოდ, რომ ბავარიელებმა ესპანელზე ფიქრი შეწყვიტონ, მაგრამ რეკორდმაისტერის თავკაც ჰაინკესს მარტინესის ეს განცხადება კატასტროფად არ მიაჩნია.

*„ნუთუ არ აკვირდებით, რომელ კლუბში თამაშობს მარტინესი? ლაპარაკია ბილბაოს „ატლეტიკზე"! ვფიქრობ, მისი ეს განცხადება სხვანაირად უნდა შეფასდეს"*, - ამბობს დონ იუპი.

ჰაინკესი გულისხმობს იმას, რომ ხავი მარტინესს „ბილბაოდან" წასვლა ძალიანაც რომ უნდოდეს, ამას ხმამაღლა არ იტყოდა – ბასკებს არ გაანაწყენებდა.

### მეორე წინაალმდეგობა: ოლიმპიადა

მარტინესმა ოლიმპიადაზე უნდა იასპარეზოს, რაც შეიძლებოდა ხელის შემშლელი ფაქტორი ყოფილიყო, რადგან ოლიმპიური თამაშები 11 აგვისტოს მთავრდება, ბავარიელებს კი არ უყვართ, როცა მათი ფეხბურთელები ახალი სეზონისთვის მოსამზადებელ შეკრებაში სრულფასოვნად არ მონაწილეობენ ხოლმე. ამ საკითხზე კომენტარი რეკორდმაისტერის სპორტულმა დირექტორმა **მათიას ზამერმა** გააკეთა – მან თქვა, რომ მარტინესის ლონდონში გამგავრება პრობლემად არ მიაჩნია, რადგან „ბაიერნს" ესპანელთან მიმართებაში აქცენტი ხანგრძლივ გათვლაზე აქვს გაკეთებული და სულაც არაა აუცილებელი, რომ მარტინესი გუნდს ახლავე შეუერთდეს.

### მესამე წინაალმდეგობა: ფასი

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბილბაოელთა მიერ მოთხოვნილი 40 მილიონი ევრო ტრანსფერის ყველაზე სერიოზული წინაალმდეგობაა. სწორედ ამაზე საუბრობს ჰაინკესიც: *„მთავარი პრობლემა ისაა, რომ ბასკები 40 მილიონ ევროს ითხოვენ, ჩვენ კი ამდენის გადახდას ნაღდად არ ვაპირებთ."*

ამას წინათ ზამერმაც თქვა, 40 მილიონი ზღაპრული თანხაა, რასაც „ბილბაოს" არც ერთი გრანდი არ გადაუხდისო. სხვათა შორის, ზამერმა ისიც თქვა, ჩვენს ბილბაოელ კოლეგებს კიდევ ერთხელ მხოლოდ იმ შემთხვევაში შევეხმიანებით, თუ ვაჭრობაზე დაგვთანხმდებიანო.

შესაბამისად, ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ ახლა არც „ბაიერნი" ჩქარობს და არც „ბილბაო". მიუნხენელები აჩქარებას არც აპირებენ – მეტიც: „კიკერი" სანდო წყაროზე დაყრდნობით წერს, რომ მიუნხენური კლუბის შეფებს სათადარიგო გეგმა არ აქვთ და სერიოზულად მხოლოდ მარტინესზე ფიქრობენ. გერმანულ პრესაში „ბაიერნთან" მიმართებაში სხვა ცნობილი საყრდენი ნახევარმცველების გვარებმაც გაიჟღერა (**მარკიზიო, დე როსი, მ'ვილა**), მაგრამ ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, რეკორდმაისტერის ბოსები ჯერჯერობით, სერიოზულად, სხვა არც ერთ ვარიანტზე არ ფიქრობენ. თანაც, „ბაიერნს" **ბასტიან შვაინშტაიგერის, ტონი კროოსის, ლუის გუსტავოს, ანატოლი ტომოშჩუკისა** და ახალგაზრდა **ემრე ჩანის** სახით საკმაოდ კარგი ცენტრალური ნახევარმცველები ჰყავს.

*„არა მგონია, რომ ნახევარდაცვის ცენტრში გვიჭირდეს. უბრალოდ, ხავი მარტინესი იმდენად კარგი ფეხბურთელია, რომ მისი გადმობირების შანსს ხელიდან არ გავუშვებდით,"* - ამბობს ზამერი.

ჩვენ კი გვგონია, რომ ხავი მარტინესისა და „ბაიერნის" ფლირტზე კიდევ არაერთხელ მოგვიწევს წერა...

**გოტფრიდ ლენცი**




● ინტერი/იუვენტუსი


ეროვნული ბიბლიოთეკა
ლუსიო "ინტერის" კარში გატანილი გოლის აღნიშვნას აპირებს

# ლუსიომ ყველა გააკვირვა

## მდუმარე ალაპარაკდა, თან როგორ...

ორიოდე დღის წინ, ჟურნალისტთა წინაშე "ინტერიდან" "იუვენტუსში" გადაბარგებული **ლუსიო** წარდგა და იმდენი ილაპარა, ყველა გაკვირვებული დატოვა; როგორც წესი, ბრაზილიელი მცველი ჟურნალისტებთან პრაქტიკულად არ ურთიერთობს და საერთოდაც, მდუმარე ადამიანია – გაკვირვებაც ამან განაპირობა; მოვუსმინოთ ლუსიოს:

*"ჩემს ყოფილ თანაგუნდელებს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ "ინტერი" უკვე წარსულია და ამ გუნდზე ლაპარაკი არ მსურს. მათ საჭიროდ არ ჩათვალეს ჩემი შენარჩუნება და დიდი იმედი მაქვს, ამას ინანებენ კიდეც. "იუვენტუსში" იმიტომ გადმოვბარგდი, რომ კიდევ მსურს უმაღლეს დონეზე თამაში. "ვეკია სენიორა" ახალი ეტაპია ჩემს კარიერაში, რომელიც დიდ ენთიუზიაზმს მმატებს. დარწმუნებული ვარ, რომ "იუვესთან" ერთად, გამარჯვებისთვის ვიბრძოლებ ყველა იმ ტურნირზე, სადაც მონაწილეობას მივიღებთ. აღვნიშნავ თუ არა "ინტერის' კარში გატანილ გოლს? – რა თქმა უნდა აღვნიშნავ, რადგან მე "იუვეს" ფეხბურთელი ვარ და ემოციების დამალვის არავითარი სურვილი არ მაქვს. სულაც არ მეწყინება, თუ მილანელები ჩემს გაშვებას ინანებენ და არ მინდა, ემოციები მოვთოკო - ამით, მხოლოდ საკუთარ თავს მოვატყუებ. იმედი მაქვს, ამ ყველაფერს "ინტერის" გულშემატკივრები გაგებით მოეკიდებიან"*.

ლუსიოს ამ განცხადებამ "ინტერის' გულშემატკივართა აღშფოთება გამოიწვია – სოციალურ ქსელებზე ბრაზილიელი მცველი მიწასთან გაასწორეს და მოღალატის იარლიყი მიაწებეს; სავარაუდოდ, ლუსიოს "ჯუზეპე მეაცაზე" ჯოჯოხეთურად დახვდებიან და ეს სწორედ მისმა ერთი შეხედვით არც ისე სკანდალურმა კომენტარმა განაპირობა. ბრაზილიელი მცველის განცხადებას "ინტერის" ახალგაზრდა ფეხბურთელი **ანდრეა რანოკია** გამოეხმაურა და ბოლოს, სწორედ მას გადავცეთ სიტყვა:

*"ლუსიო ყოველთვის მდუმარე მახსოვს, სიტყვას ვერ ათქმევინებდი და ჟურნალისტებთან რატომ გაიგიჟა თავი, რთული სათქმელია. როგორც ჩანს, "იუვენტუსში" გადასვლამ მასზე კარგად იმოქმედა და უფრო კომუნიკაბელური გახდა. ისე კი, ძალიან საწყენია, რომ ასე მალე დაივიწყა "ინტერში" გატარებული წლები და მისი ყოფილი გუნდის მიმართ პატივისცემის ნატამალი არ შერჩა. მიუხედავად იმისა, რომ ლუსიოსთან მეგობრული ურთიერთობა არასდროს მქონია, მასზე მაინც უკეთესი აზრის ვიყავი. მიუხედავად ამისა, მეგობრულად შევხვდები მოედანზე და ხელსაც ჩამოვართმევ"*.

**ლაშა წიკლაური**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# აქცია "სკანდალური ფასების ჩემპიონატი"

**ელექტრონიკა**
დაბალი ფასების ტერიტორია

აქცია ძალაშია 2012 წლის 16 ივლისიდან 29 ივლისის ჩათვლით

AVSL 68 — 499 — 600 ბრ. 5 კგ. — ARISTON — 85 / 60 / 45

AR 63 — 519 — 600 ბრ. 5 კგ. — Hotpoint ARISTON — 85 / 60 / 53

AR 83 — 529 — 800 ბრ. 5 კგ. — Hotpoint ARISTON — 85 / 60 / 53

AQXL 85 AQUALTIS — 629 — 6 კგ. 800 ბრ. — Hotpoint ARISTON — 85 / 60 / 53

AQSF 105 AQUALTIS — 699 — 5 კგ. 1000 ბრ. — Hotpoint ARISTON — 85 / 60 / 45

A7D 29 U AQUALTIS NEW — 1099 — 7 კგ. 1200 ბრ. — სენსორული დიდი დისპლეი A+ კლასი — Hotpoint ARISTON — 85 / 60 / 55

WIN 101 — 479 — 1000 ბრ. 5 კგ. — INDESIT — 85 / 60 / 53

IWC 5085 EcoTime — 499 — 800 ბრ. 5 კგ. — INDESIT — 85 / 60 / 53

WIN81 — 449 — 800 ბრ. 5 კგ. — INDESIT — 85 / 60 / 53

IWSC 5085 EcoTime — 529 — 800 ბრ. 5 კგ. — INDESIT — 85 / 60 / 45

IWUC 4085 EcoTime — 529 — 800 ბრ. 5 კგ. — INDESIT — 85 / 60 / 33

WF0508NZW — 499 — 5 კგ. 800 ბრ. — SAMSUNG — 85 / 60 / 45

WF8590NMW9 — 549 — 6 კგ. 1000 ბრ. — SAMSUNG — 85 / 60 / 45

WF0690NRW — 749 — 7 კგ. 1000 ბრ. — SAMSUNG — 85 / 60 / 45

WF0602WKN EcoBubble — 799 — 6 კგ. 1200 ბრ. — SAMSUNG — 85 / 60 / 45

**კონდიციონერები**

9 BTU (30 კვ.მ) - 499 ლარი
12 BTU (40 კვ.მ) - 599 ლარი
~~18 BTU (60 კვ.მ) - 999 ლარი~~

DeLonghi

DX-271-010 — 489 — +5 დასახელების მაცივარი — NORD — 141 / 57 / 61

ST 145 — 549 — +50 დასახელების მაცივარი — INDESIT — 145 / 60 / 67

RL34ECMG — 849 — +20 დასახელების მაცივარი — SAMSUNG — 178 / 60 / 65

SBL1822 V — 999 — +20 დასახელების მაცივარი — Hotpoint ARISTON — 187 / 60 / 65

საუკეთესო ხარისხის 1000-ზე მეტი დასახელების საქონელი

## იჩქარეთ!!! რაოდენობა შეზღუდულია...



კუხლევან და ამირანა

რაც კი ირთვება "შტეფსელში", ყველაფერია ჩვენს ქსელში...

- ☑ საბურთალო, ვაჟა-ფშაველას 4. ტელ: 2-359-490 - ახალი
- ☑ ქუთაისი, რუსთაველის 97/99. ტელ: 555 789-070 - ახალი
- ☑ გორი, გურამიშვილის №1. ტელ: 0-370-224-257 - ახალი
- ☑ გლდანი, სავ. ცენტრი "ევრაზია". მე-3 სართული, ტელ: 2-478-673 - ახალი
- ბათუმი. პუშკინის №108. ტელ: 0-422-293-129
- თელავი. ვარდოშვილის №1. ტელ: 2-238-662
- ვარკეთილი. სავ. ცენტრი "ფრესკო". ტელ: 2-236-007
- დიღომი, ბელიაშვილის 8. ტელ: 2-518-815
- საბურთალო, ვაჟა-ფშაველას 39. ტელ: 2-236-008
- ისანი, ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია, ტელ: 2-478-676
- სავ. ცენტრი "კიდობანი", პავ. 27. ტელ: 2-478-690
- სავ. ცენტრი "მეგალაინი", პავ. 87-89. ტელ: 2-478-672
- რუსთავი, შარტავას გამზ. №4. ტელ: 2-146-765

☑ *ახალ მაღაზიებში მყიდველებს მიეცემათ დამატებითი შეღავათები*

SAMSUNG TOSHIBA SONY Hotpoint ARISTON Panasonic THOMSON PHILIPS TEFAL INDESIT Rowenta Moulinex

**ელექტრონიკა** დაბალი ფასების ტერიტორია — ტელ: 2 518 815

# ქართული სპორტი

## ცხენოსნობა



შალვა გაჩეჩილაძე

# ისევ შალვა!

**თბილისელი მხედრის შალვა გაჩეჩილაძის წარმატებები საერთაშორისო სარბიელზე არახალია. ამჯერად 24 წლის სპორტსმენმა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ტურნირი მოიგო ბაქოში**

ეს ასპარეზობა, რომელიც ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაციის კალენდარში „ბაქო მასტერსის“ სახელითაა შესული, დაბრკოლებათა გადალახვაში „კავკასიის ლიგის“ 2012-2013 წლის ეგიდით ჩატარდა და რიგით მესამე ეტაპი იყო.

მთავარი პრიზისთვის იბრძოდნენ აზერბაიჯანის, საქართველოს, გერმანიის, თურქეთის და ირანის საუკეთესო მხედრები. მონაწილეთა უმრავლესობამ საპატიო ჯილდოს დაუფლებისთვის გამოიყენა მონაცვლეობით ორ მერანზე ასპარეზობის უფლება. საბოლოოდ გამარჯვებული ბაქოელ **ჰიკმეტ მუსაევსა** და შალვა გაჩეჩილაძეს შორის პაექრობაში გამოვლინდა. ორივე მხედარმა უჯარიმოდ გაიარა ძირითადი შეჯიბრება. დამატებით ხტომებში 4 საჯარიმო ქულით (ცხენი „დარი“) ჩვენიანს დარჩა პირველობა და მთავარი ჯილდო - გრან-პრი მას გადაეცა, მუსაევმა კი 8 საჯარიმო ქულა მიიღო. მესამე ადგილიც 8 საჯარიმო ქულით, მაგრამ დროში მუსაევზე უარესი მაჩვენებლით ისევ შალვა გაჩეჩილაძეს ხვდა წილად (ცხენი „ჩვინ გუში“).

ასპარეზობის საპრიზო ფონდი იყო 7 ათასი ევრო.

**თორნიკე გაჩეჩილაძე**

## მძლეოსნობა


ლაშა ლულელაური

# 16 მეტრით მეექვსეზე

ორი ქართველი სპორტსმენით იყო წარდგენილი ჩვენი ქვეყანა ბარსელონაში ახალგაზრდების მსოფლიოს ჩემპიონატზე. სამხტომელი **ლაშა ლულელაური** საკვალიფიკაციო ეტაპზე 15,75 მეტრით ფინალში მოხვდა. იქ კი მეორე ცდაზე 16 მეტრზე გადახტა და მე-6 ადგილი დაიკავა. პირველ-მესამე ადგილები კუბელმა პედრო რიკარდომ (16,79), რუსმა არტიომ პრიმაკმა (16,60) და ბანგლადეშელმა ლატარიო კოლი-მინსმა დაიკავეს. **თათია პაიკიძეც** სამხტომში ცდიდა ძალებს. კვალიფიკაციაში მას საკმაოდ მოკრძალებული შედეგი ჰქონდა - 11.46 მეტრი, რითაც, ცხადია, ფინალში ვერ მოხვდა. კვარცხლბეკზე ანა პელეტეირო (ესპანეთი, 14,17), დოვილე ძინძალეტაიტე (ლიტვა, 14,17) და ლუბა ზალდივარი (კუბა, 13,90) ავიდნენ.

**ვაჟა დანელია**
*ავტორის ფოტო*

## თავისუფალი ჭიდაობა. ევროპის პირველობა ჭაბუკებში

# მშვიდობიანად იმგზავრეს

საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავე ჭაბუკთა ნაკრები დროულად, ექსცესების გარეშე ჩაფრინდა პოლონურ კატოვიცეში და დღეს დასაწყებ თანატოლთა ევროპის ჩემპიონატს ჩაუსწრო. ჩვენი ნაკრების თავს „შავი ღრუბლები“ მას შემდეგ მოგროვდა, რაც კვირა დილას ტექნიკური გაუმართაობის გამო თბილისი-კიევის რეისი გადაიდო. ჩვენები სწორედ ამ რეისით მიფრინავდნენ პოლონეთში, მერე კი სარეზერვო ვარიანტის მოძებნა მოუხდათ. საბოლოოდ ისინი მიუნხენის გავლით გაფრინდნენ, თუმცა ან თბილისში, ან - გერმანიიდან კატოვიცეში მიმავალ თვითმფრინავსაც რომ დაეგვიანა, ანონვის ცერემონიალს ველარ ჩაუსწრებდნენ.

ჩვენი ნაკრების შემადგენლობაში მწვრთნელ **თამაზ ბენდიანიშვილის** გადაწყვეტილებით (რაც ორ წონაში საკონტროლო შეხვედრის შედეგმა განაპირობა) **შმაგი თოდუა** (42), **გიორგი პასიკაშვილი** (46), **გიორგი ლეჟავა** (50), **ლევან მურცხვალაძე** (54), **ედუარდ ნიკოლიშვილი** (58), **ტარზან მაისურაძე** (63), **ომარ გურჯიძე** (69), **გიორგი ჩხარტიშვილი** (76), **ირაკლი მწითური** (85) და **ბექა კახეთელიძე** (100) შევიდნენ. ამათგან დღეს თოდუა, ლეჟავა, ნიკოლიშვილი, გურჯიძე და მწითური იჭიდავებენ. თოდუა პირველ წრეში ბულგარელ **ანგელ გეორგიევს** ხვდება, მასთან წარმატების შემთხვევაში - სომეხ **მხითარ გრიგორიანსა** და გერმანელ **ტიმ შერერს** შორის მოგებულს. მის მხარესაა რუსი **ალექსანდრ რასადინიც**, თუმცა მას ჩვენებური ნახევარფინალამდე არ გადაეყრება. ლეჟავა პირველ წრეში ისვენებს, მისი მეტოქე კი ბელარუს **რუსლან იბრაჰიმაუს** და უკრაინელ **ანდრეი იაცენკოს** პაექრობაში გაირკვევა. ნიკოლიშვილს პირველ შეხვედრაში ფრანგი **ილმან მუხტაროვი** ერგო, ამ წყვილში მოგებული კი მეორე წრეში რუსი **იბრაგიმ ილიასოვისა** და შვეიცარიელ **მარკ დიჩეს** შორის გამარჯვებულს შეხვდება. ევროპის შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი გურჯიძე პირველ წრეში ისვენებს, როგორც მისი მეტოქე, რუსი **მუსლიმ ევლოევი**. შეგახსენებთ, რომ ქუთაისელი გურჯიძე შარშან 63 ჭიდაობდა და ევროფინალი ისევ რუსთან - **ომარაშხაბ ნაჯმუტდინოვთან** წააგო. ფრანგთან ჭიდაობით იწყებს ტურნირს მწითურიც, ოღონდ მეორე წრეში - **ქუეტინ მილირეს** ხვდება, ამ წყვილში მოგებულს კი მომდევნო წრეში ან თურქ **ილდენიზ სავრანს**, ან რუს **სულთან რაბადანოვთან** მოუწევს დაჭიდება.

**ირაკლი თავაძე**

## ჭადრაკი

# ნანა ალექსანდრიას თასზე

**სამი ტურის შემდეგ ათი სამოსანი - ასეთი იყო გუშინ ფოთში ნანა ალექსანდრიას თასის ღია გათამაშებაზე ლიდერთა მდგომარეობა.**

წარმატებით ითამაშეს შოთა აზალაძემ, გიგა ყუფარაძემ, ჰოვიკ ჰაირაპეტიანმა, დავიდ კალაშიანმა (ორივე - სომხეთი), ზაურ მამადოვმა (აზერბაიჯანი), გაიოზ ნიგალიძემ, ზვიად ფაციამ, აკაკი შალამბერიძემ, ირაკლი ბერაძემ და ფარიდ ზეინალოვმა (აზერბაიჯანი), რომლებმაც მესამე გამარჯვება ჩაიწერეს გათამაშების ცხრილში. მე-4 ტურში მათი ორთაბრძოლები ასე დამთავრდა: დავით კალაშიანი - შოთა აზალაძე 1:0, გიგა ყუფარაძე - ირაკლი ბერაძე 1:0, აკაკი შალამბერიძე - ჰოვიკ აირაპეტიანი 0,5:0,5, გაიოზ ნიგალიძე - ზვიად ფაცია 1:0, ფარიდ ზეინალოვი - ზაურ მამადოვი 0:1. ამდენად, 4 ტურის შემდეგ უდანაკარგოთა რიცხვი ოთხამდე შემცირდა. ესენი არიან მამადოვი - ყუფარაძე, ნიგალიძე - კალაშიანი, რომლები დღეს დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. ივერი ჭილლაძეს, მაკა ფურცელაძეს, ჰოვიკ ჰაირაპეტიანს, აკაკი შალამბერიძეს, გიორგი ხელაიას, დავით მაღალაშვილსა და მიხაილო ოლექსიენკოს (უკრაინა) 3,5:3,5 ქულა აქვთ.

**8-წლიან** გოგონებშიც გუშინ ორი ტურის პარტიები გაიმართა. შესანიშნავად ითამაშეს ევროპის თასის წლევანდელმა მფლობელმა დიანა ლომაიამ და ლილე გუმბერიძემ, რომლებმაც მონაგარი ორ-ორი ქულით გაიმდიდრეს: ლომაიამ ჯალა ბეილაგოვას (აზერბაიჯანი) და ელენე წოწორიას სძლია, ხოლო გუმბერიძემ - მარიამ მამფორიას და ბეილაგოვას აჯობა. მე-5 ტურში სწორედ ლომაია და გუმბერიძე შეხვდებიან ერთმანეთს. ბიჭებში სამი მონაწილე დარჩა უდანაკარგოდ. ესენი არიან ნიკოლოზ კაჭარავა, ახმად ახმადზადე (აზერბაიჯანი) და გორ გრიგორიანი (სომხეთი), რომლებმაც გუშინ უმუდ ასლანოვს (აზერბაიჯანი), რაფი ხაზარიანს (სომხეთი) და დავით გაბუნიას მოუგეს და 4-4 ქულით მეწინავეობენ.

**10-წლიან** გოგონებში ლიდერთა მესამე ტურის პაექრობები ასე დამთავრდა: ანასტასია სიდამონიძე - სადაგათ აბასოვა (აზერბაიჯანი) 1:0, კრისტინე სმბათიანი (სომხეთი) - მარიამ ბაბაიანი (სომხეთი) 0:1, მანე ჰოვანისიანი (სომხეთი) - თამარ ლაგაზაური 1:0. სიდამონიძეს, ბაბაიანსა და ჰოვანისიანს 3-3 ქულა ჰქონდათ.

მეოთხე ტურში პირველი მარცხი იწვნია სიდამონიძემ - თეთრი ფიგურებით მაია ბეჭვაიას დანებდა. ბაბაიანი და ჰოვანისიანი დაზავდნენ და 3,5-3,5 ქულით დაწინაურდნენ. 5-მა მოჭადრაკემ 3-3 ქულას მოუყარა თავი.

ბიჭებში ნიკოლოზ პეტრიაშვილი გამოირჩა, რომელმაც ზედიზედ დაამარცხა არარატ მურადიანი (სომხეთი) და ანტონ ნადირაძე. ქართველ მოჭადრაკეს ოთხიდან 4 ქულა აქვს. ლიდერს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებიან გიორგი კუხალეიშვილი, ჰაკობ ჰაკობიანი (სომხეთი) და მათე თოდაშვილი.

**12-წლიან** გოგონებს ერთი ლიდერი ჰყავთ - მარიამ ავეტისიანი (სომხეთი), რომელმაც მე-4 ტურში თანამემამულე ანი ივანიანს მოუგო და უდანაკარგოდ გათამაშების ცხრილის სათავეში მოექცა.

ბიჭებში მეწინავეთა მე-4 ტურის პარტიები ასე დამთავრდა: გურამ კოკაია - დავით გვენეტაძე 0,5:0,5, აშოტ ფარვანიანი - მჰერ იეზაიანი (ორივე - სომხეთი) 1:0, კოკა ბუკია - ნიკოლოზ ცომაია 1:0, გურამ ჭელიძე - გიორგი თავზარაშვილი 1:0. ოთხი ტურის შემდეგ 3,5-3,5 ქულით პირველ-მესამე ადგილებს კოკაია, ბუკია და ფარვანიანი ინაწილებენ.

**ვაჟა დანელია**
*დათო კოდუას ფოტო*






# ამსტერდამის ოქროს კლასიკა

40 სვლაზე 2,5 საათი და შემდგომ პარტიის გადადებით - ასეთია საჭადრაკო რეგლამენტი ამსტერდამში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირისა, რომლის ორგანიზატორიცაა პროფესიონალ მოჭადრაკეთა ასოციაცია (პრეზიდენტი **ემილ სუტოვსკი**). შეჯიბრებაში ექვსი მამაკაცი და ერთი ქალი მონაწილეობს წრიული სისტემით, მათ შორისაა ქართველი დიდოსტატი **ბაადურ ჯობავა,** რომელმაც ზედიზედ ორი პარტია წააგო.

**I ტური.** გატა კამსკი (აშშ)-ლე ქუანგ ლიემი (ვიეტნამი) 1:0, ვასილი ივანჩუკი (უკრაინა)-ბაადურ ჯობავა (საქართველო) 1:0, კრიშნან სასიკირანი (ინდოეთი)-ანა მუზიჩუკი (სლოვენია) 0:1.

**II ტური.** ჯობავა-სასიკირანი 0:1, ლე ქუანგ ლიემი-ივანჩუკი 0:1, ემილ სუტოვსკი (ისრაელი)-კამსკი 0,5:0,5.

**III ტური.** ივანჩუკი-სუტოვსკი 0,5:0,5, სასიკირანი-ლე ქუანგ ლიემი 0:1. მუზიჩუკისა და ჯობავას შეხვედრაში სლოვენიელმა ისარგებლა „ოქროს კლასიკის“ დებულებით და 41-ე სვლაზე პარტია გადადო (დიაგრამაზე).

იოლი ანალიზითაც ნათელია, რომ ამ პოზიციაში მეტოქეები დღეს მშვიდობიანად დაშორდებიან ერთმანეთს, რადგან თეთრებს სვლების გამეორების (ლg7, ლh8+) მეტი სასიკეთო არაფერი გააჩნიათ. არადა, ერთ მომენტში ჯობავას აშკარად მოსაგები პოზიცია ჰქონდა და ვერ გამოიყენა.

სამი ტურის შემდეგ: ივანჩუკი - 2,5, კამსკი -1,5, მუზიჩუკი - 1 (+1 პარტია), სასიკირანი, სუტოვსკი, ლე ქუანგ ლიემი - 1-1, ჯობავა - 0 (+1) ქულა. დღეს გადადებული პარტიების დასრულების დღეა. ხვალ მე-4 ტურში ითამაშებენ: ლე ქუანგ ლიემი-მუზიჩუკი, სუტოვსკი-სასიკირანი, კამსკი-ივანჩუკი.

**ვაჟა დანელია**

# ხურციძე ფიდეს გრან-პრიზე ითამაშებს

დღეს სომხურ ჯერმუკში დაიწყება ფიდეს გრან-პრის მორიგი ეტაპის გათამაშება, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის 12 წარმომადგენელი წრიული სისტემით იბრძოლებს საპრიზო ადგილებისთვის. მათ შორის იქნება თბილისელი დიდოსტატი **ნინო ხურციძე** (2456). იგი წინააღმდეგობას გაუწევს ისეთ სახელოვან მოჭადრაკეებს, როგორებიც არიან: ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი ჰოუ იფანი (ჩინეთი, 2617), მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ჰამფი კონერუ (ინდოეთი, 2598), გუნდურში მსოფლიოს ჩემპიონი ჟაო სიუ (ჩინეთი, 2556), ორგზის ევროპის ჩემპიონი კატერინა ლაგნო (უკრაინა, 2537), ცზიუ ვენძიუნი (ჩინეთი, 2518), ნადეჟდა კოსინცევა (რუსეთი, 2516), ჟუან ლუფეი (ჩინეთი, 2483), ელინა დანიელიანი (სომხეთი, 2480), ლილით მკრტიჩიანი (სომხეთი, 2450), ბათჰუიაგ მონგონტუული (მონგოლეთი, 2447) და ეკატერინა კოვალევსკაია (რუსეთი, 2417). საგულისხმოა, რომ მკრტიჩიანი და ხურციძე ტურნირს მას შემდეგ დაემატნენ, რაც შეჯიბრებას გაურკვეველი მიზეზებით მსოფლიოს (2008-2010) და ევროპის (2004) ჩემპიონი ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი) და მსოფლიოს ჩემპიონი (2001-2004) ჟუ ჩენი (ყატარი) გამოაკლდნენ.

გრან-პრის გათამაშებას 420 ქულით (სამი ტურნირის შემდეგ) ჰოუ იფანი მეწინავეობს. მეორე-მესამე ადგილებზე ანა მუზიჩუკი (სლოვენია, 375) და კატერინა ლაგნო (260) არიან.

ჯერმუკის ტურნირზე სათამაშო დღეებია 17-22, 24-28 ივლისი.

**ვაჟა დანელია**

# ქართველთა გუნდი მესამეზეა

კონიაში გრძელდება მოჭადრაკეთა თურქეთის გუნდური ჩემპიონატი, რომელშიც 14 კლუბი წრიული სისტემით იბრძვის საპრიზო ადგილებისთვის. მსოფლიოს საუკეთესო დიდოსტატებთან უწევთ პაექრობა ქართველ მოჭადრაკეებს, რომლებიც ხუთი გუნდის ღირსებას იცავენ. განსაკუთრებით ყოჩაღობს **მიხეილ მჭედლიშვილის, მერაბ გაგუნაშვილის, ლუკა პაიჭაძის და ქეთი წაწალაშვილის** „ტარსუს ზეკა“, გუშინდელ ორ ტურში მან საერთო მონაგარს 3 ქულა შესძინა და 9 ქულით (40,5) „ანკარა გაზისთან“ (40,5) და „ადანასთან“ (35) ერთად მესამე-მეხუთე ადგილებს იყოფს. უდანაკარგოდ, ანუ 14 ქულით (49) პირველობს სტამბოლის „ბეშიქთაში“. მას ქულით (45,5) ჩამორჩება და მეორეზეა სტამბოლის ტექნიკური უნივერსიტეტის კლუბი (ლიდერთა შემადგენლობაში ჩვენებურები არ თამაშობენ). 8 (38)-8 (35) ქულით საპრიზო ადგილებზე გასვლის შანსს ინარჩუნებენ საქართველოს ჩემპიონ **ბელა ხოტენაშვილის** „პერასფორი“ და **ნაზი პაიკიძის** „მანიშა“. ორი ქულით (28,5) მეთორმეტე ადგილზეა **ლევან ფანცულაიას** „ისეკი“ (სტამბოლი), არადა, ქართველთან ერთად მის შემადგენლობაში გამოდიან მაიკლ ადამსი, რუსტამ კასიმჟანოვი, იუდით პოლგარი და ეკატერინა ატალიკი. ერთი ქულით (27) ბოლოსწინა ადგილი უკავია „დენიზლი პამუკალს“. სოფიკო გურამიშვილმა გუნდს შვიდი შესაძლებლიდან ექვსი ქულა შესძინა, მაგრამ მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო, ხომ გაგიგონიათ.

ჩვენებურთა მონაგარი 7 ტურის შემდეგ: გურამიშვილი-6 (7-დან), ხოტენაშვილი-4,5 (7), მჭედლიშვილი-4 (7), პაიკიძე-4 (5), ფანცულაია-3,5 (4), პაიჭაძე-3,5 (4), გაგუნაშვილი-2,5 (6), წაწალაშვილი-2,5 (4) ქულა.

**ვაჟა დანელია**

● სუმო. ნაგოიას ბაშო. 8-22 ივლისი



# სამივემ მოიგო

ნაგოიას ბაშოზე პირველად სამივე ქართველმა სუმოისტმა მოიგო და მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა. აღმოსავლეთის მე-4 მაეგაშირა **ტოჩინოშინმა (ლევან გორგაძე)** ჰატაკიკომის ილეთით აჯობა **ჰომაშოს**. დღეს ტოჩინოშინს უკვე სერიოზული მეტოქე ელის, კომუსუბის რანგის მფლობელი **მიოგირიუ**. ჩვენებურს დარჩენილ 6 შეხვედრაში 2 გამარჯვებაც ჰყოფნის დადებითი ბალანსის მისაღწევად. ზუსტად ანალოგიური სატურნირო მდგომარეობა აქვს **გაგამარუსაც (თეიმურაზ ჯუღელი)**, რომელმაც გუშინ იორიკირის ილეთით **ტამაასუკა** დაამარცხა. დღეს ჩვენი მძიმეწონოსანი მე-13 მაეგაშირა **მასუნოიამას** შეხვდება. ძურიოს დივიზიონში **კოკაიმ (ლევან ცაგურია)** მესამე გამარჯვება იზეიმა.

ბაშოზე თანდათან გამოიკვეთა იმპერატორის თასისთვის მებრძოლი დუეტი - მონღოლები **ჰაკუჰო** და **ჰარუმაფუჯი** 9-0 ბალანსით გაიჭრნენ წინ.

**IX დღე**

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-გოეიდო (უვატენაგე), ჰარუმაფუჯი-ბარუტო (უვატედაშინაგე), ტოიონოშიმა-კოტოოშუ (კოტენაგე), კისენოსატო-კაკურიუ (ოშიდაში), კოტოშოგიკუ-ვაკაკოიუ (იორიკირი), ტოჩიოძანი-კიოკუტენჰო (უვატედაშინაგე), აოიამა-მიოგირიუ (ჰატაკიკომი), შოჰოზანი-ამინიშიკი (ჰიკიოტოში), ტაკაიასუ-ოკინოუმი (იორიკირი), **ტოჩინოშინი**-ჰომაშო (ჰატაკიკომი), **გაგამარუ**-ტამაასუკა (იორიკირი). **ძურიო:** **კოკაი**-კიმურაიამა (ოშიდაში).

**სატურნირო მდგომარეობა**

**9-0:** ჰაკუჰო (იოკოძუნა), ჰარუმაფუჯი (ოძეკი).

**8-1:** კოტოშოგიკუ (ოძეკი), კაისეი (მაეგაშირა 8).

**7-2:** ბარუტო (ოძეკი), კისენოსატო (ოძეკი), დაიდო (მ 13)... **6-3:** **ტოჩინოშინი** (მ 4), **გაგამარუ** (მ 7).

**X დღე**

(მნიშვნელოვანი წყვილები): ჰაკუჰო-კაკურიუ, ჰარუმაფუჯი-კოტოშოგიკუ, ბარუტო-კოტოოშუ, კისენოსატო-ტოჩიოძანი, ამინიშიკი-გოეიდო, ტოიონოშიმა, კიოკუტენჰო, **ტოჩინოშინი**-მიოგირიუ, ოკინოუმი-ვაკაკოიუ, აოიამა-შოჰოზანი, ტაკეკაძე-მიაბიამა, **გაგამარუ**-მასუნოიამა. **ძურიო:** **კოკაი**-ჰომარეფუჯი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სპორტული რადიო
ჯა — კო
Ja — Ko
FM 96.3

● კალათბურთი

# კვიპროსელის მოკითხვა



ქალაქ ვალმიერაში ლატვია-კვიპროსის საკალათბურთო ნაკრებების სპარინგ-მატჩების შემდეგ (ორივე მოიგო ლატვიამ 71:47 და 78:61) ჩვენთან დარბაზში კვიპროსის ნაკრების ერთ ერთი საუკეთესო მოთამაშე **პანაგიოტის ტრიზოკასი** მოვიდა. წაიკითხა რა ახლო მანძილიდან ჩვენ მაისურზე და პლაკატზე "ჯორჯია, სოხუმი," შეგვძახა: "ოო, ჯორჯია, ჯორჯია! თქვენ საქართველოდან ხართ?" პასუხის შემდეგ გვითხრა, რომ კვიპროსში ღრმა პატივისცემით უყვართ თემურ ქეცბაია, რომ ამ ქვეყანაში არ დაიარება ადამიანი, ვინც არ იცნობს ქეცბაიას. მან კეთილი გულით და სიყვარულით საქართველოს საფეხბურთო ნაკრებს და თემურ ქეცბაიას წარმატებები უსურვა.

ცხადია, გაგვიხარდა ასეთი გულთბილი დამოკიდებულება საქართველოსადმი, გავესაუბრეთ და მასთან ერთად ეს სამახსოვრო სურათიც გადავიღეთ.

**თენგიზ პაჭკორია**
ლატვიიდან

ხათუნა გაბიტაშვილის ფოტო

● კალათბურთი. საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე



# მეოთხე პერიოდი რომ არა...

**16 ივლისი**

**საქართველო-ესტონეთი 73:87**

**16:19, 20:24, 24:20, 13:24**

**საქართველო:** ტეტელაშვილი (6 წთ), ფხაკაძე (29 წთ, 12ქ, 5პ), სანაძე (34 წთ, 10ქ, 4მ), ბოქოლიშვილი (37 წთ, 7ქ, 5პ), თეზიეშვილი (25 წთ, 4ქ, 7მ), ალხანაიძე (18 წთ, 17ქ, 7მ), როგავა (8 წთ), ლომინაშვილი (11 წთ, 2ქ), ბურჯანაძე (33 წთ, 21ქ, 11მ, 3პ).

**ესტონეთი:** ლაანე (12ქ, 6მ, 7პ), მეტსალუ (10ქ, 6მ), პუიდეტი (14ქ), პაასოია (13ქ, 11მ), რააპი (13ქ, 7მ), ნურგერი (17ქ, 9მ), ვაინო (8ქ).

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე მეცამეტე-მეთექვსმეტე ადგილებისთვის ბრძოლაში ესტონეთთან საწყისი სამი პერიოდის განმავლობაში თანაბრად ითამაშა. მეოთხე ათწუთეულის წინ ჩვენი გუნდი 63:60-ს აგებდა, თუმცა გადამწყვეტ პერიოდში ბალტიისპირელებმა უკეთ ითამაშეს და წლეულს ქართველებს მესამედ აჯობეს (ორჯერ ამხანაგურად).

ქართველთაგან ორმაგი დუბლი **ბექა ბურჯანაძემ** შეასრულა (21 ქულა, 11 მოხსნა), ხოლო ვიცე-ბომბარდირი მეფარე **ირაკლი ალხანაიძე** გახდა - 17 ქულა, 7 მოხსნა.

დღეს, 22 საათზე საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები ჩერნოგორიას დაუპირისპირდება, რომელმაც გუშინ შვედეთთან 64:72 დათმო.

**ვაჟა სიმონიშვილი**

## მილოცვები

**გიორგი ბინქინაშვილს!**

ძვირფასო გოგი



აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაცია გულითადად გილოცავთ, აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის საპატიო პრეზიდენტს, საიუბილეო 65 წლის იუბილეს.

ჩვენ, ჩვენი უზენაესი წმინდანის, ურჩხულის დამმარცხებელი და სულიერების დამამკვიდრებელი წმინდა გიორგის კვალში მდგარი ხალხი ვართ და გისურვებთ, რომ დიადი სეხნიის 365 დღის გიორგობის მადლი თქვენზედაც გადმოსულიყოს და ქართული ჭიდაობის, ქართული სპორტის, ქართული კულტურის სამსახურში თქვენც ასევე ყოველდღიურად მდგარიყავით.

ქართულ ჭიდაობას აქვს უდიდესი მნიშვნელობა ადამიანში მებრძოლი სულის ამაღლებაში, მამაკაცური ღირსებისა და რაინდობის ჩამოყალიბებაში. ამ სფეროში დიდი ღვაწლი მიგიძღვით თქვენ.

თქვენ და თქვენმა გუნდმა დიდი როლი შეასრულეთ აჭარაში ქართული ჭიდაობის განვითარებისთვის. ბევრ სპორტსმენს მხარში ედექით საკუთარი ფულადი სახსრებით. ქართული ჭიდაობის ფედერაციის დაარსებიდან იყავით ერთ-ერთი თავკაცი როგორც ვიცე-პრეზიდენტი. ბევრ სოფელში ნახერხმოყრილ მოედანზე აალორძინეთ ქართული ჭიდაობა. ბრძანდებით სპორტის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენის კავალერი. გისურვებთ ბედნიერებას და ჯანმრთელობას. კიდევ დიდხანს გელვაწოთ ქართული ჭიდაობის, ქართული სპორტის, თქვენი ოჯახის და ჩვენი ერის სადიდებლად. გილოცავთ 65 წლის საიუბილეო თარიღს.

®

■ ■ ■



ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია, ჩვენი ტრადიციული ჭიდაობის მესვეურები, დაბადების 65 წლის იუბილეს ულოცავენ ფედერაციის ყოფილ ვიცე-პრეზიდენტს, აჭარის ქართული ჭიდაობის საპატიო პრეზიდენტს, სპორტის დამსახურებულ მუშაკს, ღირსების ორდენოსანს, ქართული ჭიდაობის ნამდვილ მეხოტბეს და მამულიშვილს **გოგი ბინქინაშვილს**.

®

● კონკურსი

# ყურადღება!

## საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს

### აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შემდეგ ფაკულტეტებზე

**1. მწვრთნელთა**
**2. პედაგოგიური**
**3. ადაპტიური სპორტი**

**კონკურსი ტარდება სწავლების პირველ საფეხურზე (საბაკალავრო პროგრამები)**

**კონკურსი ცხადდება 2012 წლის 18 ივლისს**

**საბუთების მიღება იწარმოებს 2012 წლის 20 ივლისიდან 20 აგვისტოს ჩათვლით, მისამართზე ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ.N 6, ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე ყოველ სამუშაო დღეს 10-დან 17 საათამდე;**

კონკურსი ცხადდება შემდეგ აკადემიურ თანამდებობებზე:

**1. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიის, მეთოდიკისა და ისტორიის დეპარტამენტი:**
სრული პროფესორი 2 (ორი) ადგილი
ასოცირებული პროფესორი 1 (ერთი) ადგილი
ასისტენტ პროფესორი 1 (ერთი) ადგილი

**2. პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის დეპარტამენტი**
სრული პროფესორი 1 (ერთი) ადგილი
ასოცირებული პროფესორი 1 (ერთი) ადგილი
ასისტენტ პროფესორი 1 (ერთი) ადგილი

**3. მედიკო- ბიოლოგიური მეცნიერებების დეპარტამენტი:**
სრული პროფესორი 2 (ორი) ადგილი
ასოცირებული პროფესორი 2 (ორი) ადგილი
ასისტენტ პროფესორი 2 (ორი) ადგილი

**4. სპორტთამაშების დეპარტამენტი:**
სრული პროფესორი 1 (ერთი) ადგილი
ასოცირებული პროფესორი 2 (ორი) ადგილი
ასისტენტ პროფესორი 2 (ორი) ადგილი

**5. ჭიდაობის, კრივის, ძალოსნობისა და აღმოსავლური ორთაბრძოლების დეპარტამენტი:**
სრული პროფესორი 1 (ერთი) ადგილი
ასოცირებული პროფესორი 1 (ერთი) ადგილი
ასისტენტ პროფესორი 2 (ორი) ადგილი

**6. მძლეოსნობისა და ტანვარჯიშის დეპარტამენტი:**
სრული პროფესორი 1 (ერთი) ადგილი
ასოცირებული პროფესორი 1 (ერთი) ადგილი
ასისტენტ პროფესორი 2 (ორი) ადგილი

**7. სპორტის საწყალოსნო სახეების დეპარტამენტი:**
სრული პროფესორი 1 (ერთი) ადგილი
ასოცირებული პროფესორი 1 (ერთი) ადგილი
ასისტენტ პროფესორი 1 (ერთი) ადგილი

**8. სპორტის გამოყენებითი სახეების (ტყვიის სროლა, მშვილდოსნობა. ფარიკაობა, თანამედროვე ხუთჭიდი) დეპარტამენტი:**
სრული პროფესორი 1 (ერთი) ადგილი
ასოცირებული პროფესორი 1 (ერთი) ადგილი
ასისტენტ პროფესორი 2 ( ორი) ადგილი

**9. ინგლისური ენის ცენტრი: 5 ერთეული**
ასოცირებული პროფესორი 2 (ორი) ადგილი
ასისტენტ პროფესორი 3 (სამი) ადგილი

**ა) სრულ პროფესორად 4 (ოთხი) წლის ვადით** შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება.

**ბ) ასოცირებულ პროფესორად 3 (სამი) წლის ვადით** შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

**გ) ასისტენტ პროფესორად 2 (სამი) წლის ვადით** შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი ან/და სპორტის დამსახურებული მუშაკი, მწვრთნელი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

**კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:**
ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე;
ბ) პირადობის მოწმობის ასლი;
გ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი;
დ) სამსახურებრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა, შრომის წიგნაკის ასლი და სხვ.);
ე) პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
ვ) CV;
ზ) სილაბუსი
თ) ოთხი ფოტო სურათი (ზომით 3X4);
ი) ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია, სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში მონაწილეობა.

**II. პროფესორთა რეიტინგული შეფასების კრიტერიუმები:**
1. პედაგოგიური სტაჟის მქონე პედაგოგებს მუშაობის წლების რაოდენობის შესაბამისი ქულა;
2. სამეცნიერო სტატია (ბოლო 5 წლის განმავლობაში): რეცენზირებად და რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნებულ ყოველ სტატიაზე – 3 ქულა.
3. მონოგრაფია შესაბამის დარგში (ბოლო 5 წლის განმავლობაში) -20 ქულა;
4. სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა (ბოლო 5 წლის განმავლობაში):
ა) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა – 10 ქ.
ბ) რეგიონულ სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა -5 ქ.
5. სილაბუსის შესაბამისობა (თემატური, სწავლის შედეგები, ფორმატი) – 10 ქ.
- აკადემიურ თანამდებობაზე არჩევა მოხდება რეიტინგული შეფასების შკალის მიხედვით დაგროვებული ქულების შესაბამისად.

კონკურსში გამარჯვებული კანდიდატების შრომის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება ურთიერთშეთანხმებით.

**კონკურსი ჩატარდება 2012 წლის 25 აგვისტოს;**

**კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2012 წლის 30 აგვისტოს. დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ მისამართზე ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ.N 6, ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე ყოველ სამუშაო დღეს 10-დან 17 საათამდე; ვებგვერდი (www. sportuni.ge)**

*საკონტაქტო ტელეფონი - 599 58-26 -62 გურამ ძაგანია.*

®

**ლელოზე ხელმომწერთა საყურადღებოდ!**

ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.

დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.

● საქართველოს ნაკრები

# ჭაბუკები ავსტრიისკენ დაიძრნენ

საქართველოს ეროვნული ნაკრები 17 ივლისს გამთენიისას ავსტრიაში გაფრინდა. შეკრებაზე გამგზავრების წინ ნაკრებმა საკალათბურთო აკადემიის დარბაზში ივარჯიშა, რომლის დასკვნითი ნაწილი ჟურნალისტებისთვის ღია იყო. საშუალება მოგვეცა მწვრთნელ-მოთამაშეებს გავსაუბრებოდით, თუმცა მანამდე შეგახსენებთ, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრები 2 ივლისს თბილისში შეიკრიბა და ფიზმომზადება გაიარა, 17 ივლისიდან კი გუნდს მთავარი მწვრთნელი **იგორ კოკოშკოვი** და რამდენიმე კალათბურთელი შეუერთდება. 17-დან 28 ივლისის ჩათვლით ეროვნული გუნდი ავსტრიის ქალაქ შტაინბრუნში მოემზადება, რის შემდეგაც 2 საერთაშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას, ასევე გამართავს საკონტროლო მატჩებს ავსტრიისა და გერმანიის ნაკრებებთან.

გავესაუბრეთ ფიზმომზადების მწვრთნელ, **ავთო ბერიძეს:**

- თბილისური მზადება ორი ეტაპისგან შედგებოდა. პირველი იყო, ეგრეთ წოდებული ფუნქციონალური წვრთნა, რომლის დროსაც ყურადღება ექცევა გულსისხლძარღვთა სისტემის „გამოფხიზლებას". მეორე ეტაპზე ვვარჯიშობდით სისწრაფეზე, კოორდინაციაზე, გამძლეობაზე, მოქნილობაზე... მოკლედ, ნელ-ნელა მივუახლოვდით სათამაშო სიტუაციებს.

**- იქნებ, ეს ეტაპი შარშანდელს შევადაროთ...**

- უკეთესი სიტუაციაა. გავიხსენოთ, რომ გასულ წელს მანუჩარ მარკოიშვილი სრულფასოვნად ვერ ვარჯიშობდა. ამჯერად მანუ სრული დატვირთვით ემზადება. შედარებით გვიან შემოგვიერთდა გიორგი შერმადინი, თუმცა ისიც მეტ-ნაკლებად მიუახლოვდა გუნდის კონდიციებს.

**- მანუჩარსა და ვიქტორ სანიკიძეს არ უვარჯიშიათ...**

- მარკოიშვილს ქორწილი ჰქონდა და საპატიო მიზეზით არ არის. მინდა შემთხვევით ვისარგებლო და მანუჩარს გაბედნიერება მივულოცო.

**- ახალწვეულები როგორ შეეწყვნენ გუნდს?**

- ძალიან მონდომებულები არიან და ბევრსაც შრომობენ. ვფიქრობ, 12-კაციან განაცხადში მოხვედრისთვის სერიოზული კონკურენცია იქნება.

## 20-კაციანი შემადგენლობა

გამთამაშებლები:

გიორგი ცინცაძე, კორი ფიშერი, ჯეიკობ პულენი, ოთარ ფხაკაძე, რეზო როგავა.

მსროლელები:

მანუჩარ მარკოიშვილი, ბესიკ ლეჟავა, მერაბ ბოქოლიშვილი, დუდა სანაძე.

მსუბუქი ფორვარდები:

ვიქტორ სანიკიძე, ანატოლი ბოისა, ლევან ფაცაცია, ნოდარ თენიეშვილი.

მძიმე ფორვარდები:

თორნიკე შენგელია, აკაკი დვალიშვილი, ნიკა მეტრეველი, ბექა ბექაური.

ცენტრები:

ზაზა ფაჩულია, გიორგი შერმადინი, რიჩარდ მათიაშვილი.

## მოსამზადებელი გეგმა

1-16 ივლისი: ფიზიკური მომზადების ვარჯიშები თბილისში

17-28 ივლისი: შეკრება შტაინბრუნში (ავსტრია)

29-31 ივლისი: საერთაშორისო ტურნირი ესტონეთში. მონაწილეობენ: საქართველო, ესტონეთი, ჩეხეთი და აშშ-ს ერთ-ერთი საუნივერსიტეტო გუნდი

1-5 აგვისტო: შეკრება შტაინბრუნში (ავსტრია)

4 აგვისტო: საკონტროლო მატჩი ავსტრია-საქართველო ავსტრიაში (ქალაქი დადგინდებამოგვიანებით)

7-9 აგვისტო: საერთაშორისო ტურნირი თბილისში. მონაწილეობენ: საქართველო,

უკრაინა, ესტონეთი, ბელარუსი

13 აგვისტო: საკონტროლო მატჩი გერმანია-საქართველო ლაიფციგში (გერმანია)

## ოფიციალური შეხვედრები

18 აგვისტო: ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი საქართველო-რუმინეთი თბილისში




21 აგვისტო: ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ბოსნია-საქართველო სარაევოში (ბოსნია)

24 აგვისტო: ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი საქართველო-ლატვია თბილისში

27 აგვისტო: ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ჰოლანდია-საქართველო ალმერეში (ჰოლანდია)

2 სექტემბერი: ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი რუმინეთი-საქართველო სიბიუში (რუმინეთი)

5 სექტემბერი: ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი საქართველო-ბოსნია თბილისში

8 სექტემბერი: ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ლატვია-საქართველო რიგაში (ლატვია)

11 სექტემბერი: ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი საქართველო-ჰოლანდია თბილისში

● პრესკონფერენცია

# ნაკრებს იტალიელიც დაეხმარება




პაატა ლობჟანიძე, კოტე ტულუში, ბესიკ ლიპარტელიანი და მერაბ რატიშვილი

გუშინ ნაკრების სიახლეებთან დაკავშირებით პრესკონფერენცია გაიმართა, რომელსაც კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ბესიკ ლიპარტელიანი**, გენერალური მდივანი **მერაბ რატიშვილი**, ნაკრების მწვრთნელი **კოტე ტულუში** და გუნდის გენერალური მენეჯერი **პაატა ლობჟანიძე** ესწრებოდნენ.

ბატონმა მერაბმა ჯერ ლეგიონერი, **ჯეიკობ პულენი** წარმოგვიდგინა, შემდეგ ნაკრების ფიზმომზადების ახალ მწვრთნელზე, ახალგაზრდული ნაკრებიდან ეროვნულში **ნოდარ თენიეშვილის** გადაყვანასა და ნაკრების ახალ მენეჯერზე ილაპარაკა.

■ ■ ■

ჯეიკობ პულენზე ამავე გვერდზე წაიკითხავთ. ახლა, რაც შეეხება საქართველოს ნაკრების სამწვრთნელო შტაბში მომხდარ ცვლილებას. გუნდს ახალი ფიზმომზადების მწვრთნელი ჰყავს - საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ კონტრაქტი გაუფორმა ცნობილ იტალიელ სპეციალისტ **სანდრო ბერკადინოს**, რომელიც ჩვენს ნაკრებთან ერთად შეკრებაზე 17 ივლისიდან 13 აგვისტომდე იმუშავებს. ბერკადინო 2011 წელს მაკედონიის ეროვნული ნაკრების ფიზმომზადების მწვრთნელი იყო, გასულ სეზონში კი იტალიურ „სიენაში" მუშაობდა და ამ კლუბთან მოქმედი კონტრაქტი აკავშირებს. მერაბ რატიშვილმა დასძინა, რომ იტალიელის გვერდით იმუშავებს გამოცდილი ქართველი სპეციალისტი **ავთო ბერიძე**.

■ ■ ■

პრესკონფერენციაზე ასევე ითქვა, რომ სამწვრთნელო შტაბის გადაწყვეტილებით, ეროვნულ გუნდში კიდევ ერთი ახალგაზრდა, პერსპექტიული კალათბურთელი გამოიძახეს. საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრების წევრი, ნოდარ თენიეშვილი გუნდს ავსტრიაში შეუერთდება.

■ ■ ■

*- ნაკრების მენეჯერად 8 წელი ვიმუშავე. სადღეისოდ ფედერაციის გენერალური მდივანი ვარ, ფიბა-ევროპის მსაჯთა კომიტეტშიც ვსაქმიანობ და ფიზიკურად ვერ ვახერხებ ნაკრების მენეჯერობის შეთავსებას. ამიტომ, გზას დავულოცავ ახალგაზრდა პაატა ლობჟანიძეს,* - გვითხრა მერაბ რატიშვილმა. შეგახსენებთ, რომ პაატა ჯერ სუპერლიგის დირექტორის მოადგილე იყო, გასული სეზონის წინ კი მსაჯთა კავშირის აღმასრულებელ დირექტორად დაინიშნა.

პრესკონფერენციაზე დაისვა კითხვა ნატურალიზებულ ჯეიკობ პულენთან დაკავშირებით - ჰეინსის მაგალითის გათვალისწინებით, ხომ არ ჯობდა უფრო გამოცდილი ჩამოგვეყვანაო...



სანდრო ბერკადინო მაკედონიის ნაკრებში ევროპის 2011 წლის ჩემპიონატზე

*- ევროპაში მოთამაშე ამერიკელებთან მოლაპარაკება იოლი საქმე არ არის. ზოგს თავად არ სურს ნაკრებში თამაში, ზოგთან შეთანხმებას ვერ მივაღწიეთ. პულენს იტალიის ჩემპიონატში აქვს ნათამაშები და ვიმედოვნებთ, რომ იგი ჩვენს ნაკრებს სათანადო დახმარებას გაუწევს. რაც შეეხება ნატურალიზებულს, მარკიზ ჰეინსს, რომელიც ჩვენს ნაკრებში შარშან თამაშობდა, ისეთი აზრი ჩამოყალიბდა, თითქოს იგი სუსტი კალათბურთელია. ასე რომ იყოს, დიდ ფულს არავინ გადაუხდიდა. ჰეინსი გასულ სეზონში „გრან კანარიაში" საკმაოდ კარგად ირჯებოდა. საქართველოს ნაკრებში კი სხვადასხვა გადაადგილების გამო შესაძლებლობები სრულად ვერ გამოავლინა,* - გვითხრა ფედერაციის პრეზიდენტმა ბესიკ ლიპარტელიანმა.

■ ■ ■

**იგორ კოკოშკოვის** ასისტენტმა კოტე ტულუშმა ყურადღება მზადების თბილისურ ეტაპზე გაამახვილა:

*- ვარჯიშები გეგმა ზომიერად მიმდინარეობს. აქამდე ფიზმომზადებაზე ვვარჯიშობდით, ავსტრიაში კი ტაქტიკაზე ვიმუშავებთ, მალე ამხანაგური მატჩებიც მოგვიწევს და ვფიქრობ, ოფიციალურ შეხვედრებს მომზადებულები შევხვდებით. ავსტრიაში შემოგვიერთდებიან ზაზა ფაჩულია, თორნიკე შენგელია, კორი ფიშერი, ჯეიკობ პულენი და ახალგაზრდული ნაკების წევრები, რომლებიც ამჟამად ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატს თამაშობენ.*

● ახალი უცხოელი

# პულენი, მეორე ამერიკელი საქართველოს ნაკრებში

საქართველოს ნაკრებში 17 ივლისიდან ორი ამერიკელი ივარჯიშებს. მკითხველს მოეხსენება, რომ თურქული „ანთალიას" გამთამაშებელ **კორი ფიშერთან** შეთანხმება უკვე მიღწეულია და იგი შესარჩევ ტურნირზე იგორ კოკოშკოვის განკარგულებაში იქნება. გუშინ შევიტყვეთ, რომ მწვრთნელის გადაწყვეტილებით კალათბურთის ფედერაციამ კიდევ ერთი ამერიკელი დაითანხმა საქართველოს ნაკრებში თამაშზე - **ჯეიკობ პულენი.**

იგი ევროპაში ერთი წლის ჩამოსულია, გასული სეზონი იტალიურ „ბიელაში" გაატარა და კლუბთან ერთად სერია A-ში მე-12 ადგილი დაიკავა. სტატისტიკაც არ დაეწუნებოდა: საშუალოდ 34.3 წუთში 16 ქულა, 3.2 პასი.

პულენმა ივლისის დასაწყისში „ფილადელფიას" მაისურით საზაფხულო ლიგაზეც კარგად ითამაშა - საშუალოდ 29 წუთში 13.7 ქულასა და 2.5 პასს აგროვებდა.

საერთოდ, როგორ გამოადგება საქართველოს ნაკრებს და კიდევ რა პლუს-მინუსები აქვს, ამაზე მას მერე უკეთ ვილაპარაკებთ, რაც ჯეიკობ პულენის თამაშს ვნახავთ.




**დოსიე**

**ჯეიკობ პულენი**

**დაიბადა:** 10.11.1989

**სიმაღლე:** 182 სმ.

**წონა:** 85 კგ.

**კარიერა**

2007-2011 - კანზასის უნივერსიტეტი

2011-12 - ანჯელიკო ბიელა (იტალია, სერია A)

სტატისტიკა „ბიელაში":

32 თამაში

34.3 წუთი

16 ქულა

1.8 მოხსნა

3.2 პასი

1.8 ჩაჭრა

2-ქულიანები 109/227 (48.7 %)

3-ქულიანები 63/184 (34.1 %)

საჯარიმოები 104/139 (74.8 %)



აქვე უნდა განვმარტოთ, რომ ფიბა-ევროპის წესების თანახმად, კონკრეტული თამაშის წინ ნაკრების განაცხადში ერთადერთი ნატურალიზებული უნდა იყოს. პულენი და ფიშერი გუნდთან ერთად მოემზადებიან და მწვრთნელი, იგორ კოკოშკოვი ამა თუ იმ შეხვედრის წინ გადაწყვეტს, ვის დაეყრდნოს. დაახლოებით ისეთი სიტუაცია იქნება, რაც 2010 წელს, როცა საქართველოს ნაკრებში ერთდროულად ვარჯიშობდნენ **ტორინ გრინი და ქუინტონ ჰოსლი**, ოფიციალურ შეხვედრებში თამაში მხოლოდ გრინს უწევდა.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვიდკაცა რაგბი

# აკადემიამ ეტაპიც მოიგო და ჩემპიონატიც

**შვიდკაცა რაგბის საქართველოს ჩემპიონატი თბილისის „აკადემიის" გამარჯვებით დასრულდა. შეჯიბრება, ისევე როგორც შარშან, სამ ეტაპად წარიმართა. აკადემიელებმა ჯამში 54 სარეიტინგო ქულა მოაგროვეს და თბილისის „ლელოს" 2 ქულით გაუსწრეს.**

აღსანიშნავია, რომ ლელოელებმა ორი ეტაპი დაუმარცხებლად განვლეს და გათამაშებას დამაჯერებლად ლიდერობდნენ. თუმცა, მესამე ეტაპზე, ჯგუფურ ტურნირში ქუთაისის „აიასთან" ერთადერთი მარცხის გამო - 14:19, პირველობისთვის მებრძოლ ოთხეულში ვერ მოხვდნენ და საბოლოოდ მეხუთე ადგილი დაიკავეს. ეს საკამრისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ მესამე ეტაპის გამარჯვებულ „აკადემიას" საერთო ჩათვლაში ყველაზე მეტი სარეიტონგო ქულა დაეგროვებინა.

აკადემიელებმა, რომლებიც B ჯგუფში ასპარეზობდნენ, ოთხი მატჩიდან სამი მოიგეს და ერთში თბილისის „ჯიქებთან" ფრეს დასჯერდნენ - 5:5.

A ჯგუფში კი თანაბარი 6-6 ქულა ერთბაშად სამმა გუნდმა, „ლელომ", ქუთაისის „აიამ" და „ბათუმი XV"-მ დააგროვეს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლელოელებმა ქუთათურებთან წააგეს, რომლებიც თავის მხრივ ვერას გახდნენ ზღვისპირელებთან - 12:14. სამაგიეროდ „ბათუმი XV"-ს „ლელომ" სძლია - 7:5. ჯგუფში ადგილების გასანაწილებლად ურთიერთშეხვედრებში ნაჩვენები შედეგები გახდა დასათვლელი. ლელოელებს მეტოქეებთან შედარებით დეფიციტში 2 ქულა აღმოაჩნდათ და, შესაბამისად, მესამე ადგილს დასჯერდნენ.

ნახევარფინალში „აკადემიამ" იოტისოდენა შანსი არ დაუტოვა A ჯგუფის მეორეადგილოსან „ბათუმი XV"-ს - 21:0. მეორე წყვილში კი ქუთაისის „აიამ" დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა თბილისის „ლოკომოტივი" - 19:14.

ფინალი, როგორც მოსალოდნელი იყო, საკმაოდ დაძაბულ, უშეღავათო ბრძოლაში წარიმართა და თბილისურმა გუნდმა ქუთათურებს ხუთი ქულის სხვაობით სძლია - 12:7.

ამრიგად, შვიდკაცა რაგბის საქართველოს ჩემპიონატის მესამე ეტაპი თბილისის „აკადემიამ" მოიგო და საქართველოს ჩემპიონის ტიტული პირველად მოიპოვა.

**მესამე ეტაპი**

**A ჯგუფი**

**რაინდები-ლელო 0:63, აია-ბათუმი XV 12:14, ლელო-ყოჩები 26:12, აია-რაინდები 43:0, ბათუმი XV-ყოჩები 36:7, ლელო-აია 14:19, ბათუმი XV-რაინდები 21:17, აია-ყოჩები 19:14, ლელო-ბათუმი XV 7:5, ყოჩები-რაინდები 31:0.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. აია - 6 ქულა, 2. ბათუმი XV - 6, 3. ლელო - 6, 4. ყოჩები - 2, 5. რაინდები - 0.**

**B ჯგუფი**

**არწივები-აკადემია 5:40, ლოკომოტივი-ბგრატი 26:12, აკადემია-ჯიქები 5:5, ლოკომოტივი-არწივები 38:0, ბაგრატი-ჯიქები 14:27, აკადემია-ლოკომოტივი 21:5, ბაგრატი-არწივები 21:12, ლოკომოტივი-ჯიქები 24:14, აკადემია-ბაგრატი 14:5, ჯიქები-არწივები 31:0.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. აკადემია - 7 ქულა, 2. ლოკომოტივი - 6, 3. ჯიქები - 5, 4. ბაგრატი - 2, 5. არწივები - 0.**

**ნახევარფინალი**

| | |
|---|---|
| აია-ლოკომოტივი | 19:14 |
| აკადემია-ბათუმი XV | 21:0 |

**III ადგილისთვის**

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი-ბათუმი XV | 26:5 |

**ფინალი**

| | |
|---|---|
| აკადემია-აია | 12:7 |

**საბოლოო მდგომარეობა**

**1. აკადემია, 2. აია, 3. ლოკომოტივი, 4. ბათუმი, 5. ლელო, 6. ყოჩები, 7. ჯიქები, 8. ბაგრატი, 9. რაინდები, 10. არწივები.**

**სამი ეტაპის ჯამი**

**1. აკადემია - 54 ქულა, 2. ლელო - 52, 3. ლოკომოტივი - 46, 4. აია - 44, 5. ბათუმი - 38, 6. ბაგრატი - 28, 7. ჯიქები - 28, 8. ყოჩები - 22, 9. რაინდები - 8, 10. ხულიგანა - 6, 11. არმაზი - 2, 12. არწივები - 2.**

# პორტუგალია მოსკოვის გზაზე

**საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრები პორტუგალიის ქალაქ ელგარვეში გაემგზავრა, სადაც 2013 წელს, მოსკოვში გასამართავი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ითამაშებს. ეს შეჯიბრება 20-22 ივლისს გაიმართება.**

„შვიდკაცა ბორჯღალოსნები" აქ B ჯგუფში საფრანგეთის, გერმანიისა და ბელგიის ნაკრებთან ერთად იასპარეზებს. ამ გუნდების გარდა მსოფლიოს ჩემპიონატზე ასპარეზობის უფლების მოსაპოვებლად პორტუგალიის, უკრაინის, იტალიის, ლიტვის, ესპანეთის, შოტლანდიის, ჰოლანდიისა და რუმინეთის შვიდკაცა გუნდები იბრძოლებენ.

ჯგუფური ტურნირის შემდეგ მეოთხედფინალში ორ-ორი მოწინავე და ორი საუკეთესო მესამეადგილოსანი ითამაშებენ. მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურს პირველი ხუთი გუნდი მიიღებს.

საქართველოს ნაკრები პორტუგალიაში ერთი კვირით ადრე ჩავიდა, რათა ადგილზე ივარჯიშოს და იქურ კლიმატს შეეგუოს. მწვრთნელებმა **კახა ალანიამ** და **პალიკო ჯიმშელაძემ** ტურნირზე საასპარეზოდ 12 მორაგბე იახლა, რომელთაგან ხუთი საქართველოს ეროვნული ნაკრების მოთამაშეა. ესენი არიან: **მერაბ შარიქაძე** (), **ირაკლი მაჩხანელი** (არმაზი), **მერაბ კვირიკაშვილი** (სენ ჟუნიენი), **ლაშა ხმალაძე** (ლელო) და **თედო ზიბზიბაძე** (პერიგო).

**საქართველოს ნაკრები**: ბექა ბიწაძე, ლევან გოგოლაშვილი (ორივე-არმია), მერაბ შარიქაძე (), ირაკლი მაჩხანელი (არმაზი), ირაკლი ღვინჯილია (ლოკომოტივი), მერაბ კვირიკაშვილი (სენ ჟუნიენი), ირაკლი გეგენავა, ლაშა ხმალაძე, ბაჩანა კოლელიშვილი (სამივე-ლელო), გიორგი ფრუიძე (აია), თედო ზიბზიბაძე (პერიგო), შალვა მახარაშვილი (ბათუმი XV).

**A ჯგუფი:** პორტუგალია, უკრაინა, იტალია, ლიტვა.

**B ჯგუფი:** საქართველო, საფრანგეთი, გერმანია, ბელგია.

**C ჯგუფი:** ესპანეთი, შოტლანდია, ჰოლანდია, რუმინეთი.



ზე რაგბი



რედსი-ვორათაზი

# ჩემპიონი ისევ შემართულია

**ზე რაგბის გათამაშების რეგულარული გათამაშება სამხრეთაფრიკული დურბანის „სტორმერზის" გამარჯვებით დასრულდა. თუმცა თითქმის მთელი ტურნირის განმავლობაში ახალზელანდიური ჰემილთონის „ჩიფსი" ლიდერობდა, რომელიც საბოლოოდ მეორე ადგილს დასჯერდა. ბოლო ტურში პლეი ოფში გასული გუნდების ვინაობაც გაირკვა.**

ძალიან გაუმართლა ზე რაგბის გათამაშების შარშანდელ გამარჯვებულს, ავსტრალიური ბრისბენის „რედსს". „წითლების" პლეი ოფში მოხვედრის მხოლოდ თეორიული შანსი არსებობდა, რადგან მისი კონკურენტი კანბერას „ბრამბიზი" შინ ეთამაშებოდა ერთ-ერთ აუტსაიდერს, ახალზელანდიური ოქლენდის „ბლუზს". ყველა, ცხადია, მასპინძელთა გამარჯვებას ელოდა, თუმცა მოვლენები აბსოლუტურად საწინააღმდეგო სცენარით განვითარდა.

ოქლენდელებმა, მიუხედავად იმისა, რომ სრულიად უმოტივაციონი იყვნენ, შესაშური ბრძოლისუნარიანობა გამოამჟღავნეს და მეტოქეს სტუმრად დამაჯერებლად სძლიეს - 30:16. ეს „ბლუზის" მხოლოდ მე-4 გამარჯვება იყო მიმდინარე გათამაშებაში.

კანბერელთა წაფორხილებამ ხელ-ფეხი გაუხსნა ბრისბენის „რედსს", რომელიც შინ სიდნეის „ვორათაზს" დაუპირისპირდა და ჰაერივით საჭირო გამარჯვებას მიაღწია - 32:16. „წითლებმა" უმოტივაციო მეტოქეს ხუთი ლელო გაუტანეს, შედეგად ერთი პრემიალური ქულაც მიითვალეს და პლეი ოფში, ანუ ნახევარფინალის შესარჩევ ეტაპზე გააღწიეს.

არადა ზე რაგბის მოქმედმა ჩემპიონებმა, ტურნირზე ასპარეზობა ძალზე ცუდად დაიწყეს. ტრავმების გამო „წითლებს" ლიდერები **ვილი გენია** და **ქუადე კუპერი** აკლდათ. მას შემდეგ კი, რაც ორივე გამოჯანმრთელდა, „რედსი" თავის თავს დაემსგავსა, ძველებურად სწრაფად და ეფექტურად ამოქმედდა. აგერ რეგულარული გათამაშების მიწურულს ფორტუნამაც გადმოხედა და კარგი შანსი აქვს, შარშან მოპოვებული ტიტული დაიცვას.

„რედსის" მეტოქე გადამწყვეტ ეტაპზე სამხრეთაფრიკული, დურბანის „ნატალ შარქსი" იქნება, რომელმაც ბოლო ტურში თანამემამულე, ბლუმფონტეინის „ჩიტაზი" დაამარცხა 34:15. "ზვიგენების" ეს წარმატება, ცხადია, მოულოდნელი არავისთვის ყოფილა. დურბანელები ბოლო წლებში მუდმივად მაღალი მიზნებისთვის იბრძვიან და ასეა ამჯერადაც. თუმცა „ნატალ შარქსს", სავარაუდოდ, სტუმრად ჩემპიონების დამარცხება ძალზედ გაუჭირდება. მით უფრო, რომ ტრავმის გამო მგეზავი და მთავარი მექულე **პარტიკ ლამბიე** დააკლდება.

მიმდინარე გათამაშებაში, „ზვიგენები" „წითლებს" საკუთარ მოედანზე შეხვდნენ და 27:22 მოუგეს. ეს მატჩი 17 მარტს გაიმართა. მას შემდეგ კი ბევრი რამ შეიცვალა, თუმცა, ცხადია, ყველაფერი მაინც მოედანზე კონკრეტულ მატჩში გადაწყდება.

ნახევარფინალის შესარჩევი ეტაპის მეორე წყვილში ახალზელანდიური ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზი" შინ მიიღებს სამხრეთაფრიკულ პრეტორიის „ბლუ ბულზს". „ჯვაროსნებმა", რომელიც ზე რაგბის გათამაშების ყველაზე ტიტულოვანი გუნდია, ბოლო ტურში შინ დაამარცხა ავსტრალიური პერთის „ფორსი" - 38:24.

„ლურჯმა ხარებმა" კი რეგულარული გათამაშების ბოლო შეხვედრა პრეტორიაში გამართა და იოჰანესბურგის „ლაიონზს" 37:20 სძლია. რაგბის სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ზე რაგბის წლევანდელი გათამაშების გამარჯვებული, შესაძლოა, სწორედ „კრუსეიდერზისა" და „ბლუ ბულზს" შორის საუკეთესო გახდეს.

**A ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ბრამბიზი-ბლუზი | 16:30 |
| რედსი-ვორათაზი | 32:16 |

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ბრამბიზი - 58 ქულა, 2. რედსი - 58, 3. ვორათაზი - 35, 4. მელბურნ რებლზი - 32, 5. ფორსი - 27.**

**B ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ჰარიკეინზი-ჩიფსი | 28:25 |
| კრუსეიდერზი-ფორსი | 38:24 |

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ჩიფსი - 64 ქულა, 2. კრუსეიდერზი - 61, 3. ჰარიკენზი - 53, 4. ჰაილენდერზი - 46, 5. ბლუზი - 32.**

**C ჯგუფი**

| | |
|---|---|
| სტორმერზი-მელბურნ რებლზი | 26:21 |
| ნატალ შარქსი-ჩიტაზი | 34:15 |
| ბლუ ბულზი-ლაიონზი | 37:20. |

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. სტორმერზი - 66 ქულა, 2. ბლუ ბულზი - 59, 3. ნატალ შარქსი - 59, 4. ჩიტაზი - 38, 5. ლაიონზი - 25.**

**საბოლოო მდგომარეობა**

**1. სტორმერზი - 66 ქულა, 2. ჩიფსი - 64, 3. კრუსეიდერზი 61, 4. ბლუ ბულზი - 59, 5. ნატალ შარქსი - 59, 6. რედსი - 58. 7. ბრამბიზი - 58, 8. ჰარიკენზი - 57, 9. ჰაილენდერზი - 50, 10. ჩიტაზი - 38, 11. ვორათაზი - 35, 12. ბლუზი - 32, 13. რებლზი - 32, 14. ფორსი - 27, 15. ლაიონზი - 25.**

**ნახევარფინალის შესარჩევი**

**რედსი-ნატალ შარქსი**
**კრუსეიდერზი-ბლუ ბულზი**

ტესტები

# ფიჯის ნაკრები ფინანსურ გასაჭირშია

ნოემბრის ტესტებზე ფიჯის ნაკრები ევროპაში ოთხ მატჩს გამართავს. კუნძულელები თბილისს 23 ნოემბერს უნდა ეწვიონ. „ბორჯღალოსნებთან" პაექრობის გარდა, ისინი ინგლისისა და ირლანდიის ნაკრებებს დაუპირისპირდებიან. ერთ შეხვედრას კი ინგლისურ კლუბ „გლოსტერთანაც" გამართავენ.

ყოველივე ეს კი ფიჯის რაგბის ფედრაციას 350 ათასი გირვანქა სტერლინგი დაუჯდება, რაც ამ ორგანიზაციისთვის ზღაპრული თანხაა. არადა სპონსორები ნაკრებისთვის ჯერაც არ ჩანან.

*„ყველაფერს ვაკეთებთ, რათა ევროპაში გასამგზავრებელი თანხები მოვიძიოთ. უკიდურეს შემთხვევაში დახმარებისთვის სახელმწიფოს მივმართავთ. ჩვენ რაგბის საერთაშორისო საბჭო გარკვეული თანხებით გვეხმარება, მაგრამ ის მიზნობრივად, ქვეყანაში რაგბის განვითარებაზე იხარჯება.*

*სადღეისოდ ერთი რამის თქმა გადაჭრით შემიძლია: მიუხედავად იმისა, გვეყოლება თუ არა სპონსორი, ტურნეზე აუცილებლად გავემგზავრებით",* - თქვა ფიჯის რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **მანას ბარავილალამ.**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

## უცხოური სპორტი

ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა

# სერენას და სარას გასეირნება

კაცებისგან განსხვავებით, ქალებს გასულ კვირას ორი ტურნირის ჩატარება უწევდათ. სტენფორდში დაიწყო ამერიკული ტურნირების სერია (US Open Series), რომელიც წინ უძღვის აშშ-ის ღია პირველობას.

ტურნირის მთავარი ვარსკვლავი იყო **სერენა უილიამსი**, რომელიც უიმბლდონზე ტრიუმფის შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში. ის მეორე წრიდან ჩაება ბრძოლაში და ფინალამდე არანაირი პრობლემა არ შეჰქმნია. სამ მატჩში სერენამ მხოლოდ 10 გეიმი გაიმეტა მეტოქეებისთვის. თითქოს ბრძოლა უნდა ყოფილიყო ნახევარფინალში რუმინელ **სორანა კირსტეასთან**, მაგრამ ამ ჩოგბურთელმა **დომინიკა ციბულკოვას** სამ სეტში დამარცხების შემდეგ, ძალები ვეღარ მონახა სერენასთან საბრძოლველად და 1:6, 2:6 წააგო.

ბადის ქვედა ნაწილში სერიოზული ბრძოლა გაჩაღდა ფინალის მეორე საგზურისთვის. მეორე ნომრად განთესილმა ფრანგმა **მარიონ ბარტოლიმ** მეორე წრეში წააგო ბელშიელ **იანინა ვიკმაიერთან**, რომელიც ნახევარფინალში ტურნირის აღმოჩენას **კოკო ვანდევეგეს** ხვდებოდა. ამ უკანასკნელს საერთოდ არ უნდა ეთამაშა ძირითად ბადეში - მან კვალიფიკაცია წააგო, მაგრამ ერთ-ერთი კონკურენტის ტრავმის გამო შეძლო ტურნირში მონაწილეობა. ამერიკელმა ეს შანსი შესანიშნავად გამოიყენა. ნახევარფინალამდე მას ერთი სეტიც არ წაუგია, ამასთან, ერთ-ერთ ეტაპზე სერბი **ელენა იანკოვიჩი** დაამარცხა. სწრაფ ჰარდზე კოკომ შესანიშნავი ძალისმიერი ჩოგბურთი აჩვენა, კარგად აწვდიდა და მილებაზე აქტიურად მოქმედებდა.

ნახევარფინალში მან ბრძოლაში გაიარა ვიკმაიერის ბარიერი - 6:2, 3:6, 6:2. პირველად 2004 წლის შემდეგ, ამერიკულ ტურნირებზე ფინალში ერთმანეთს აშშ-ის ორი წარმომადგენელი დაუპირისპირდა. სერენა უილიამსი, რომელსაც არასოდეს წაუგია მატჩი მასზე უმცროს თანამემამულესთან, ფავორიტად მიიჩნეოდა, მაგრამ ვანდევეგემ შეძლო ბრძოლის გამართვა. ფინალისტები ძალისმიერ და სწრაფ ჩოგბურთს აჩვენებდნენ და მაყურებელს დიდი სიამოვნება მიანიჭეს. და მაინც, ყველაზე მნიშვნელოვან გათამაშებებში სერენას გამოცდილებამ იძალა - 7:5, 6:3. უილიამსმა დაიცვა შარშანდელი ტიტული და კარიერაში 43-ედ მოიგო WTA-ის ტურნირი. ის ამ მაჩვენებლით თავის უფროს დას - **ვენუს უილიამსს** გაუტოლდა. დები მოქმედ ჩოგბურთელებს შორის ლიდერობენ ტიტულების რაოდენობით.

■ ■ ■

პალერმოში კი გაიმართა ქალებს შორის International-ის სერიის ტურნირი. აქ ფავორიტის სტატუსი დაამტკიცა როლან გაროსის ჩემპიონმა, იტალიელმა **სარა ერანიმ**. ფინალში მისი მეტოქე ჩეხი **ბარბორა ზახვალოვა** იყო, რომელსაც ყველა ეტაპზე დიდი ბრძოლის გადატანა უხდებოდა, მათ შორის ნახევარფინალში ბრიტანელ **ლორა რობსონთან**. იტალიელმა კი თავისი გზა გაცილებით დამაჯერებლად გაიარა - არც ერთი სეტი არ წაუგია. ჩემპიონიც ის გახდა - მხოლოდ ოთხი გეიმი დაუთმო ჩეხ ჩოგბურთელს.

**WTA**

**Bank of the West Classic**

სტენფორდი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 740 000 დოლარი

**ფინალი**

**სერენა უილიამსი (აშშ, 1)**-კოკო ვანდევეგე (აშშ) 7:5, 6:3.

**Internazionali femminili**

პალერმო (იტალია). გრუნტი
**საპრიზო ფონდი:** 220 000 დოლარი

**ფინალი**

**სარა ერანი (იტა, 1)**-ბარბორა ზახვალოვა (ჩეხეთი, 3) 6:1, 6:3.


სერენა უილიამსი


ეროვნული ბიბლიოთეკა
ტიპსარევიჩს ახალი მერსედესიც ერგო

# ლონდონის ამერიკული რეპეტიცია

უიმბლდონის შემდეგ, საჩოგბურთო ცხოვრება აქტიურად გაგრძელდა. მამაკაცებმა ოთხ ტურნირში გაარკვიეს ურთიერთობა, აქედან სამი გრუნტის საფარზე ჩატარდა, ერთი - ბალახზე.

ბაშტადში ტოპათეულის ორი მოთამაშე ჩავიდა, ამ ტურნირის ყოფილი ჩემპიონები - **დავიდ ფერერი** და **ნიკოლას ალმაგრო**. ადგილობრივ გულშემატკივრებს აკლდათ შარშანდელი ჩემპიონი **რობინ სოოდერლინგი** (შვედი ტურში იმ მოგების შემდეგ აღარ გამოჩენილა), მაგრამ მან არაერთხელ თქვა, რომ ტურში მხოლოდ მაშინ დაბრუნდება, როცა ფიზიკურად 100 პროცენტით იქნება მზად.

სამაგიეროდ, ATP-ის დაუბრუნდა 30 წლის **ტომი რობრედო**. ვეტერანმა ესპანელმა ივნისში, ტრავმის მოშუშების შემდეგ, ზედიზედ ორი „ჩელენჯერი" მოიგო, ბაშტადში კი ორი წრე გაიარა და მეოთხედფინალში ორი სეტი ღირსეულად ებრძოდა ფერერს, სანამ მესამე პარტიაში "მშრალი" ანგარიშით არ წააგო.

ბადის ზედა ნაწილიდან ფინალში ფერერი გავიდა, ქვემოთ კი ფავორიტი ალმაგრო იყო, მაგრამ სტარტზე მას ძალიან გაუჭირდა. პირველივე მატჩში მან კინაღამ წააგო ჩეხ **ივო მინართან** – მეორე სეტის ტაი-ბრეიკი 10:8 მოიგო, რის შემდეგაც გადამწყვეტი პარტია აიღო. **დანიელ ხიმენო ტრავეროსთან** მეოთხედფინალიც სამსეტიანი იყო, ნახევარფინალში კი ორი სეტი იკმარა **იან ჰაიეკის** დასამარცხებლად.

ალმაგრო ტურნირის მსვლელობისას უმატებდა, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა ფინალში ფერერის დასამარცხებლად. დავიდს ნიკოლასისთვის მანამდე ათიდან ათიდან მატჩი ჰქონდა მოგებული და ამჯერადაც გაიმარჯვა, თანაც ეს ძალიან დამაჯერებლად გააკეთა. ფერერმა მეტოქეს მხოლოდ ოთხი გეიმი მისცა და არც ერთხელ არ წაუგია თავისი მოწოდება – ალმაგროს ერთადერთი ბრეიკ-პოინტი მოიგერია. ეს ტიტული მე-15 იყო ესპანელისთვის კარიერაში და მეხუთე სეზონში.

■ ■ ■

ისევე როგორც ბაშტადში, შტუტგარტშიც ფინალში პირველ და მეორე ნომრად განთესილი ჩოგბურთელები შეხვდნენ – **იანკო ტიპსარევიჩი** და **ხუან მონაკო**. თუმცა სერბი შეიძლება გადამწყვეტ მატჩში ვერც გასულიყო, რადგან მეოთხედფინალში ბეწვის ხიდზე გაიარა. გერმანელი **ბიორნ ფაუ** 7:6, 6:5-ს იგებდა და ოთხი მატჩბოლი ჰქონდა, მაგრამ ვერც ერთი ვერ გამოიყენა, რის შემდეგაც იანკომ მატჩი თავის სასარგებლოდ შემოატრიალა.

მონაკოსაც ჰქონდა ერთი რთული მატჩი, როცა ნახევარფინალში **გილერმო გარსია ლოპესთან** მესამე სეტს 5:0-ს იგებდა, მაგრამ მეტოქეს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცა. თუმცა საქმე ტაი-ბრეიკამდეც არ მისულა, რადგან ბოლო გეიმში ესპანელმა 40:15-დან წააგო თავისი მოწოდება.

ფინალი ძალიან დაძაბული გამოვიდა, არადა, ტიპსარევიჩს შეეძლო იოლად მოეგო. პირველი სეტის აღების შემდეგ, სერბი 4:0 დაწინაურდა და მეხუთე გეიმში ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ ეს უპირატესობა გაფლანგა. მონაკომ მოიგო მეორე სეტი, მესამეში 3:3-მდე გაძლო, თუმცა შემდეგ ზედიზედ სამი გეიმი და მასთან ერთად მატჩი დათმო. ასე მოიგო ტიპსარევიჩმა გრუნტზე კარიერაში პირველი ტიტული. აღსანიშნავია, რომ ტიპსარევიჩი ერთადერთი იყო ტოპათეულის მოთამაშეებიდან, ვისაც წელს ტურნირი არ ჰქონდა მოგებული.

■ ■ ■

ასევე პირველად იმარჯვა გრუნტზე **მარინ ჩილიჩმა**. მან უმაგში საშინაო ტურნირი მოიგო. ხორვატიის ღია პირველობაზე ნახევარფინალში პირველ ოთხ ნომრად განთესილები გავიდნენ. ამ ეტაპზე **მარსელ გრანოლერსმა** ესპანურ დერბიში მოუგო **ფერნანდო ვერდასკოს**, 2011 წლის ფინალის რიმეიკში კი ჩილიჩმა რევანში აუღო უკრაინელ **ალექსანდრ დოლგოპოლოვს**.

გადამწყვეტი მატჩი ესპანელმა კარგად დაიწყო და 4:2 დაწინაურდა, მაგრამ აქედან მოყოლებული ზედიზედ ცხრა გეიმი წააგო. ჩილიჩი 6:4, 5:0 გაიჭრა წინ და მატჩის თავის სასარგებლოდ დასრულება აღარ გასჭირვებია. ხორვატიის ღია პირველობა პირველად 22 წლის წინ ჩატარდა და მაშინ ადგილობრივმა ჩოგბურთელმა **გორან პრპიჩმა** გაიმარჯვა. ჩილიჩი მეორე ხორვატია, ვინც ამ ტურნირზე მთავარი პრიზის მოპოვება შეძლო.

■ ■ ■

ლონდონის ოლიმპიადისთვის მზადების მხრივ, ყველაზე სასარგებლო ამერიკის ქალაქ ნიუპორტის ბალახის კორტებზე თამაში იყო.

ერთ-ერთი ფავორიტი **ჯონ ისნერი** კინაღამ პირველივე წრეში დამარცხდა უკრაინელ **სერგეი ბუბკასთან**. მეორე რაუნდში ამერიკელი **ნიკოლა მაუს** ხვდებოდა. მათი ლეგენდარული მატჩი უიმბლდონზე ყველას ახსოვდა, მაგრამ ამჯერად მარათონი არ შედგა და ისნერმა ორ სეტში მოიგო – 6:2, 7:6(2). ნახევარფინალში ტურნირის პირველმა ნომერმა **რაიან ჰარისონი** ორ სეტში დაამარცხა.

ბადის ქვედა ნაწილში ოთხი განთესილიდან სამი პირველივე წრეში დამარცხდა, მეოთხე – **კეი ნიშიკორი** კი მეორე წრიდან გამოეთიშა ბრძოლას. ასეთი არეულობით ისარგებლა უაილდ-ქარდის მფლობელმა **ლეიტონ ჰიუიტმა** და ფინალში გააღწია. ავსტრალიელს ბალახის საფარზე ფინალებში შთამბეჭდავი სტატისტიკა ჰქონდა – შვიდიდან შვიდი მოგება, მაგრამ ეს სერია ისნერმა შეწყვიტა. ორ დაძაბულ სეტში, 16 ეისის დახმარებით ჯონმა გამარჯვება მოახერხა – 7:6(1), 6:4.

**Hall of Fame Tennis Championships**

ნიუპორტი (აშშ). ბალახი
**საპრიზო ფონდი:** 398 250 დოლარი

**ფინალი**

**ჯონ ისნერი (აშშ, 1)**-ლეიტონი ჰიუიტი (ავსტრა) 7:6(1), 6:4.

**Swedish Open**

ბაშტადი (შვედეთი). გრუნტი
**საპრიზო ფონდი:** 358 425 ევრო

**ფინალი**

**დავიდ ფერერი (ესპ, 1)**-ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 2) 6:2, 6:2.

**Croatia Open**

უმაგი (ხორვატია). გრუნტი
**საპრიზო ფონდი:** 358 425 ევრო

**ფინალი**

**მარინ ჩილიჩი (ხორ, 2)**-მარსელ გრანოლერსი (ესპ, 4) 6:4, 6:2.

**Mercedes Cup**

შტუტგარტი (გერმანია). გრუნტი
**საპრიზო ფონდი:** 358 425 ევრო

**ფინალი**

**იანკო ტიპსარევიჩი (სერ, 1)**-ხუან მონაკო (არგ, 2) 6:4, 5:7, 6:3.

# აბსოლუტური როჯერი

გუშინ, ATP-ის განახლებული რეიტინგი გამოქვეყნდა და ახლა უკვე ოფიციალურად შეიძლება იმის გამოცხადება, რომ შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი** აბსოლუტური რეკორდსმენია კლასიფიკაციის პირველ ადგილზე ყოფნის ხანგრძლივობით.

ლეგენდარული შვეიცარიელის ლიდერობა რეიტინგში, საერთო ჯამში, 287 კვირას ითვლის. პირველად როჯერი მსოფლიოს პირველი ჩოგანი 2004 წლის თებერვალში გახდა და უმაღლეს პოზიციას 2008 წლის აგვისტომდე ინარჩუნებდა. 2012 წელს, უიმბლდონის მოგების შემდეგ, ფედერერმა დაიბრუნა პირველი ადგილი რეიტინგში და გასული კვირა მისთვის 286-ე იყო ლიდერის რანგში.

წინა რეკორდი - 286 კვირა - ამერიკელ **პიტ სამპრასს** ეკუთვნოდა. მესამე ადგილი ამ სიაში ასევე ამერიკელ **ივან ლენდლს** ეკუთვნის (270 კვირა).

ახალ რეიტინგში მეორე ადგილი უკავია სერბ **ნოვაკ ჯოკოვიჩს**, მესამეზეა - ესპანელი **რაფაელ ნადალი**.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


როჯერ ფედერერი

ქალათბურთი

## ბერძნები ობრადოვიჩს უხმობენ

„პანათინაიკოსის" ყოფილი მთავარი მწვრთნელი **ჟელკო ობრადოვიჩი**, შესაძლოა, საბერძნეთის ნაკრების დამრიგებელი გახდეს. როგორც იტყობინებიან, საბერძნეთის კალათბურთის ფედერაცია ევროპის ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი მწვრთნელის კანდიდატურას განიხილავს.

წინა მთავარი მწვრთნელის **ილიას ცურასის** შეცვლის აუცილებლობა მას შემდეგ დადგა დღის წესრიგში, რაც საბერძნეთმა ვერ გაიარა ლონდონის ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი - მეოთხედფინალში მან ნიგერიის ნაკრებთან წააგო.

შეგახსენებთ, რომ ობრადოვიჩმა „პანათინაიკოსი" 13-წლიანი მუშაობის შემდეგ დატოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გასოლის შეჩერება რთული აღმოჩნდა

# 31 წლის არგენტინა

არგენტინისნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ხულიო ლამასმა** საბოლოო შემადგენლობა დაასახელა, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე.

2004 წლის ოლიმპიადის ჩემპიონის საბოლოო განაცხადი ასე გამოიყურება:

**პაბლო პრიჯიონი**
**ფაკუნდო კომპასო**
**მანუ ჯინობილი**
**კარლოს დელფინო**
**ერნან ხასენი**
**ანდრეს ნოჩიონი**
**მარკოს მატა**
**ლუის სკოლა**
**ლეონარდო გუტიერესი**
**ფედერიკო კამერიჩი**
**ხუან გუტიერესი**
**მარტინ ლეივა**

აღსანიშნავია, რომ არგენტინის ნაკრები ყველაზე გამოცდილია გუნდია ოლიმპიადაზე. ამ გუნდის საშუალო ასაკი თითქმის 31 წელია. განაცხადში მხოლოდ სამი კალათბურთელია 29 წელზე ქვემოთ: კომპასო (21), მატა (25) და ხუან გუტიერესი (28).

■ ■ ■

გუშინ, შარშანდელი ევრობასკეტის ფინალისტებმა - ესპანეთმა და საფრანგეთმა მეორე საწვრთნელი შეხვედრა ჩაატარეს და პირენელებმა ისევ შეძლეს გამარჯვება, თუმცა, ამჯერად, მათი უპირატესობა ისეთი დამაჯერებელი არ ყოფილა, როგორიც წინა შემთხვევაში.

ფრანგებმა პირველი ტაიმი ორი ქულით მოიგეს, მაგრამ ესპანეთმა გადამწყვეტ უპირატესობას მესამე მეოთხედში მიაღწია, რომელიც 9 ქულით მოიგო და საბოლოოდ, ხუთი ქულით დაამარცხა მეტოქე - 75:70 (23:21, 14:18, 19:10, 19:21).

ესპანელთა რიგებში 22 ქულა დააგროვა **პაუ გასოლმა**, 16 ქულა იყო **სერჟ იბაკას** ანგარიშზე. ამ უკანასკნელმა ყველაზე მეტი - 31 წუთი გაატარა მოედანზე. ფრანგების მხრიდან სამმა კალათბურთელმა გადალახა 10-ქულიანი ზღვარი: **სერაფინი** - 12 ქულა, **პარკერი** - 11, **ყელაბალე** - 10.

# რაფა ლონდონში ვერ მიდის?

## მსოფლიოს მესამე ჩოგანი ცუდ ფიზიკურ ფორმაშია

არ არის გამორიცხული, რომ ლონდონის ოლიმპიადის საჩოგბურთო ტურნირმა კლასიფიკაციის მესამე ნომრის, ესპანელი **რაფაელ ნადალის** გარეშე ჩაიაროს. რაფა დარწმუნებული არ არის, რომ ზაფხულის თამაშებს კარგ ფიზიკურ მდგომარეობაში შეხვდება.

შეგახსენებთ, რომ ნადალი 2008 წლის ოლიმპიადის ჩემპიონია და გამარჯვების შემთხვევაში პირველი ჩოგბურთელი გახდება ისტორიაში, ვინც ზედიზედ ორ ოლიმპიადაზე გაიმარჯვებს.

როგორც ესპანური გამოცემა AS წერს, ამჟამად ესპანელი აღდგენით კურსს გადის მუხლის ტრავმის შემდეგ, რომელიც მან უიმბლდონის მეორე წრეში, ჩეხ **ლუკაშ როსოლთან** წაგებულ მატჩში მიიღო.

*„ვაგრძელებ ოლიმპიადის წინ აღდგენით კურსს. მადლობას ვუხდი ყველა გულშემატკივარს მხარდაჭერისთვის“*, - დაწერა თავის „ტვიტერზე“ ესპანელმა ჩოგბურთელმა.



რაფაელ ნადალი

ცნობილია, რომ ნადალი ესპანეთის ოლიმპიური გუნდის მედროშე უნდა იყოს ოლიმპიადის გახსნის ცერემონიაზე. რაფამ ესპანეთის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს აცნობა თავისი მდგომარეობის შესახებ და დაამატა, რომ ყველაფერს გააკეთებს თამაშებში მონაწილეობის მისაღებად.

# ლონდონი ოლიმპიურ რეჟიმშია



საცობის მიზეზი

ლონდონისთამაშებისთვის მზადება დასკვნით ფაზაში შედის - გახსნის ცერემონიამდე 10 დღე რჩება. ათასობით სპორტსმენმა და ოფიციალური პირმა დაიწყო ბრიტანეთის დედაქალაქში ჩასვლა, მაგრამ თამაშების ორგანიზების მხრივ, კვლავაც რჩება არაერთი კითხვის ნიშანი.

გუშინ, ლონდონის აეროპორტმა „ჰითროუმ“ 120 ათასი მგზავრი მიიღო - ათი ათასით მეტი, ვიდრე ზაფხულის ჩვეულებრივ დღეს.

ბრიტანეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს იმიგრაციული სამსახურის ხელმძღვანელმა **დამიან გრინმა** განაცხადა, რომ ბრიტანეთის სასაზღვრო კონტროლის ძალები, გუშინდელი დღიდან მოყოლებული, „ოლიმპიურ რეჟიმში“ იწყებს მუშაობას. მანვე პირობა დადო, რომ პიკის საათებში „ჰითროუზე“ საპასპორტო კონტროლის ყველა ფანჯარა ღია იქნება.

აეროპორტში სპორტსმენებს დახვდებიან მოხალისეები, რომლებიც ავტობუსისკენ გზის გაკვალვაში დაეხმარებიან სტუმრებს. აეროპორტიდან სპორტსმენები ლონდონის აღმოსავლეთით, ოლიმპიური სოფლისკენ გაემართებიან. ოლიმპიადის დღეებში სოფელში 16 ათასი სპორტსმენი და ოფიციალური პირი იცხოვრებს.

გუშინვე დაიწყო მუშაობა დოპინგლაბორატორიამ. უკვე ჩატარდა პირველი ტესტები. სულ ოლიმპიადის მსვლელობისას დაახლოებით 6 ათასს სინჯს აიღებენ. შემოწმდება თამაშების მონაწილეთა თითქმის ნახევარი, მათ შორის ოლიმპიადის ყველა გამარჯვებული და პრიზიორი.

■ ■ ■

გუშინ, თამაშების ორგანიზატორები სერიოზულ პრობლემებსაც წააწყდნენ, კერძოდ, ლონდონისკენ მიმავალ ტრასებზე გრანდიოზული საცობები წარმოიშვა.

ამის მიზეზი გახდა ტრასებზე „ოლიმპიური“ ზოლების შემოღება, რომლებიც ოლიმპიადის მონაწილეებისა და სტუმრებისთვის არის გათვალისწინებული.

აღსანიშნავია, რომ წესები, რომლებიც ჩვეულებრივი მოქალაქეებისთვის ამ ზოლებში მოძრაობას კრძალავს, მხოლოდ 27 ივლისს შევა ძალაში, როცა ოფიციალურად დაიწყება ზაფხულის მორიგი თამაშები.

# მოტაცებული პრეზიდენტი

ქალაქ ტრიპოლიში ლიბიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე **ნაბილ ელალემი** გაიტაცეს, - ასეთ ინფორმაციას ავრცელებს სააგენტო „როიტერი“.

ნაბილ ელალემი თავის მანქანაში ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ერთ-ერთ თანამშრომელთან ერთად იჯდა, როცა ორმა მანქანამ გადაუკეტა გზა. მასში სამხედრო ფორმაში გამოწყობილი მამაკაცები ისხდნენ. მათ ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარეს თავიანთ მანქანაში გადაჯდომა უბრძანეს და გაურკვეველი მიმართულებით გაუჩინარდნენ. ელალემის კოლეგისთვის უცნობებს ხელი არ უხლიათ.

ლიბიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა ტელეინტერვიუში განაცხადეს, რომ გამტაცებლები პრეზიდენტს სამხედროებად გაეცნენ. გატაცებაში რვა-ცხრა მამაკაცი მონაწილეობდა. თითოეული მათგანი შეიარაღებული იყო.

ქვეყნის სპორტის მინისტრმა **ფეთჰი თარბელმა** სააგენტო „როიტერისთვის“ მიცემულ ინტერვიუში დაგმო ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის გატაცება და ელალემის დაუყოვნებლივ გათავისუფლება მოითხოვა. *„ეს რევოლუციის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულია და ის კადაფის დროში გვაბრუნებს“*, - განაცხადა მინისტრმა.

# ოლიმპიური სოფლის საიდუმლოებანი

ამერიკის ქალ ფეხბურთელთა ნაკრების მეკარემ **ჰოპ სოლომ** სკანდალური ინტერვიუ მისცა ტელეარხ ESPN-ს. ეს სპორტსმენი იმით არის ცნობილი, რომ ცოტა ხნის წინ, კინაღამ დისკვალიფიკაცია მიიღო ანტისადოპინგო კანონების დარღვევისთვის.

ESPN-თვის მიცემულ ინტერვიუში 2008 წლის ოლიმპიადის ჩემპიონმა ოლიმპიური სოფლის ინტიმური საიდუმლოებები გაამხილა. ჰოპ სოლო აშშ-ის ნაკრების რიგებში ლონდონის ოლიმპიადაზეც ითამაშებს.

*„ოლიმპიურ სოფლებში ყოველთვის ბევრი სექსია, - აცხადებს სოლო. - იქ ყოველთვის მოიძებნება ერთი ღამით სექსუალური კავშირის მრავალი მოყვარული. მინახავს სპორტსმენები, რომლებიც ამას პირდაპირ ღია ცის ქვეშ აკეთებენ - სახლებს შორის ბალახზე...“*

სპორტსმენის აღიარებით, სექსუალური გართობების გარდა, ოლიმპიურ სოფელში ძალიან პოპულარულია საღამოების გამართვა, სადაც უზომო რაოდენობით ალკოჰოლს მოიხმარენ. ჰოუპმა არ უარყო, რომ თავადაც მონაწილეობდა ამგვარ ღონისძიებებში, მაგრამ შემდგომი კომენტარებისგან თავი შეიკავა. *„ეს ჩემი საიდუმლოა“*, - თქვა მან.



ჰოპ სოლო

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

# ლემეტრმა გრძელი სპრინტი აირჩია

ევროპული სპრინტის „მეფედ“ აღიარებულმა ფრანგმა მძლეოსანმა **კრისტოფ ლემეტრმა** ლონდონის ოლიმპიადაზე მხოლოდ ერთ დისტანციაზე გადაწყვიტა გამოსვლა, - წერს ფრანგული გამოცემა „ეკიპი“.

ლემეტრს გადაწყვეტილი აქვს, ძალები 200 მეტრ დისტანციაზე სცადოს. კრისტოფი 100 მეტრზე მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოვა, თუ რომელიმე სპორტსმენი ტრავმას ან დისკვალიფიკაციას მიიღებს.

შეგახსენებთ, რომ გასულ უქმეებზე ლემეტრმა „ბრილიანტის ლიგის“ ლონდონის ეტაპზე გაირბინა 200 მეტრი და წლევანდელ სეზონში მესამე დრო აჩვენა - 19.91 წამი.

ცნობისთვის, ლემეტრი მძლეოსნობის ისტორიაშია შესული - ის პირველი და ერთადერთი თეთრკანიანი მძლეოსანია, ვისაც 100 მეტრი 10 წამზე ნაკლებ დროში აქვს გარბენილი.

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი;** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** *ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:* **გია თვალაბეიშვილი**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**
*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: lelo@palitra.ge* ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:05
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608